


საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საძმომი, ბატონი ბეჭ-
უჭი სიფყავა, ტყუილებით და ჭიბბით ბუბ-
თის გატანა ყველა უკადრისბაჭე უსამაგლესია.

პარასკევი, 9 სექტემბერი. 2016 წ. №168 (8060), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.



გიორგი კვირიკაძე:
**რა რეპოლუსიის
თავი აქვს ამ სასოდავ
სააკაშვილს!..**

გუშინ საგამო-
ფენო ცენტრ „ექს-
პო-ჯორჯიას“ მე-
თერთმეტე პავი-
ლიონში გაიმართა
„ქართული ოცნება
— დემოკრატიული
საქართველოს“ სა-
არჩევნო პროგრამის პრეზენტაცია.
გუშინვე პარტიამ ცესკოში 155 კა-
ცის სია წარადგინა.

**სიის პირველი
ათეული ასეთია:**

1. გიორგი კვირიკაშვილი
2. კახა კალაძე
3. ირაკლი კობახიძე
4. თამარ ჩუგოშვილი
5. გიორგი გახარია
6. აკაკი ზოიძე
7. თა-
მუნა ხულორდავა
8. რომან კაკულია
9. სოფო ქაცარავა
10. ირინა ფრუიძე


მაგტი MAGTI
ჩვენ ქართულ სამყაროში

**დღესასწაული
„სულის
სარკმლიდან
გაღმხტარნი
ქაშისა“**



9-10

ქართული, მხოლოდ ქართული გზა!



**მთავარში — ერთობა, სადავოში — თავისუფლება,
მაგრამ ყველაფერში — სიყვარული**

**დღეს საქართველოს
სჭირდება პიროვნებათა
პარლამენტი, ბოლო
სიბყვანა ამომრჩეველზე**

გუშინ, 8 სექტემბერს, დასრულ-
და პარტიათა საარჩევნო სიების
წარდგენა საარჩევნო კომისიაში. ახ-
ლა უკვე სიტყვა ამომრჩეველებზეა.

უკვე არა მარტო მეცნიერთა საი-
ნიციატივო ჯგუფს, არამედ ხალხის
აბსოლუტურ უმრავლესობას მიაჩნია,
რომ დღეს საქართველოს სჭირდება:

- არა მოლაპარაკეთა, არა სოცი-
ალურ დემაგოგთა, არამედ კანონშე-
მოქმედთა პარლამენტი;
- არა ურბანოპრობლემთა და არა
გლობალისტთა, არამედ ქართული
ცნობიერების პლანეტარულად მოაზ-
როვნე პოლიტიკოსთა პარლამენტი;
- არა გარედან მართვად პარტი-
ათა და პოლიტიკოსთა, არამედ ქვეყ-

**ჩვენ ეს დიდი ქართული
პრობლემა დავიწყეთ. ქართუ-
ლი არასდროს ნიშნავდა ჩა-
კეტილობას. ქართული ყო-
ველთვის იყო ნაგვიანობის
გოგალსაქაპობრიოსთან.**

**ქართული, მხოლოდ ქარ-
თული გზა! ქვეყნის გაღარ-
ჩანის სხვა გზა არ არსებ-
ობს — ქვეყანა ერის ბუ-
ნებრიან გამოგონიერად უნდა
იმართებოდეს.**

**დიდი გაღმარება ყველას,
ვინც საუბრისადაც ენერ-
გია მხარდობდა საინიცია-
ტივო ჯგუფის ნაპირებს,
ვინც შექმნას, რომ სხვათა
დაინტერესოს.**

ნის ინტერესების, ქვეყნის მოსახლეო-
ბის მსახური პარლამენტი;

● არა ბელადების და ფულიან მაგ-
ნატთა პოლიტიკური გეგმებით დაკომ-
პლექტებული საარჩევნო სიები და პარ-
ლამენტი, არამედ ღონიერი აზროვნე-
ბის მქონე პოლიტიკოსთა პარლამენტი.

**დღეს საქართველოს სჭირდება ისეთი
ხელისუფლება და ოპოზიცია, ისეთი მე-
დია და არასამთავრობო სექტორი, რომე-
ლიც ქუჩას კი არ ასწავლის ხალხს (ეს მის-
გან უნდა ისწავლოს), არამედ ემსახურება
მას — ხალხს, ქვეყნის ქვეყნარს პატრონი!**

საქართველო სადღესაც ასეთი ადამიანე-
ბით, საქართველოს უდიდესი პოტენცი-
ალის ადამიანები ჰყავს, როგორც ქვეყნის
შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ და ეს დაა-
დასტურა ყოველთა ქართველთა, საქარ-
თველოს შვილთა, საქართველოს მეგო-
ბართა მსოფლიო კონგრესის მზადების
განვლილმა ეტაპმა. ამას ადასტურებს
მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის შეხ-
ვედრები საქართველოს რეგიონებში —
ქალაქებსა და რაიონებში.

**ჩვენი პოზიხია
უხველია**

ჩვენ ვემიჯნებით ყოველგვარ დაპი-
რისპირებას და პოლიტიკური სიძულ-
ვილით სავსე, პოლიტიკურ სამთავრო-
ებად დაყოფილ ქვეყანაში საქმიანო-
ბის მთავარ მიმართულებად მოქმედე-
ბათა ჰარმონიზაციას მივიჩნევთ და
ამასვე ვუსურვებდით ქვეყნის ხელი-
სუფლებას, ოპოზიციას, მედიასა და
არასამთავრობო ორგანიზაციებს. ეს,
მართლაც, საშური საქმეა. დაპირისპი-
რება სუსტების მოგონილია, თანამშ-
რომლობის ჰარმონიზაცია — მხოლოდ
ძლიერთ ხელწინებდა.

დაპირისპირებით და ზიზლით სავ-
სე პოლიტიკური სივრცე სათნობით
და სიყვარულით უნდა შეიცვალოს,
კონფრონტაცია პრინციპულობამ უნდა
შეიცვალოს... ჩვენ ჰარმონიზაციის
რთულ და ძნელ გზას ვირჩევთ.

ჩვენ ასე ვხედავთ ქვეყნის მომავალს
და ამისთვის მთავარია არა პარტიათა
საარჩევნო კოალიციები, არამედ მათი

თანამშრომლობა „ეროვნული თანხ-
მობის პარლამენტისათვის“, პიროვ-
ნებათა პარლამენტისათვის, განსხვა-
ვებულთა ერთობის პარლამენტის-
თვის.

ეს ჩვენი გზაა

ჩვენ დიდი პროცესი დავიწყეთ და
უფრო მასშტაბურად გავაგრძელებთ.
არ შევეშებით არც ერთ პრობლემას,
რაც ხალხსა და ქვეყანას... ჩვენ არც
იმას ვამბობთ, რომ ჩვენ ვართ სიმარ-
თლის საბოლოო ინსტანცია, მაგრამ
დაპირისპირება, პარტიების გაფეტი-
შება, პარტიული ინტერესების ქვეყ-
ნის ინტერესებზე მაღლა დაყენება
რომ დამანგრეველია, თანამშრომლო-
ბის ჰარმონიზაცია რომ აუცილებე-
ლია, რომ ქვეყანაში მიმდინარე პრო-
ცესებს სჭირდება ღრმა და მეცნიერუ-
ლი ანალიზი, ვფიქრობთ, არც ეს არის
საკამათო. სწორედ ამიტომ არის სა-
ჭირო ჯანსაღი დისკუსია, ჯანსაღი პა-
ექრობა. ეს ჩვენი გზაა.

ბიძინა ივანიშვილი: რა რევოლუსიის თავე აქვს ამ სასოდავ სააკაშვილს!

ღვენილებს ასე ათას ბინას არასოდეს შეპირებოდა

მე მგონი გადაცდომაა, რომ ღვენილებს ასე ათას ბინას ვპირდებოდი, თუმცა სურვილი დიდი გამაჩნია, რომ ღვენილები რაც შეიძლება სწრაფად დაკმაყოფილდნენ, - ასე უპასუხა ბიძინა ივანიშვილმა გუშინ სამეგრელოში მედიასთან შეხვედრაზე დასმულ კითხვას, სადაც ჟურნალისტმა განაცხადა, რომ სამეგრელოში ივანიშვილი ღვენილებს ასე ათას ბინას პირდებოდა.

„სამეგრელოში სიტუაცია ნამდვილად მძიმეა, ახალი ხელისუფლება ბევრს აკეთებს ამისთვის, ათასზე მეტმა ღვენილმა მიიღო ბინა, 4 ათასს უყიდვს და სახლების გამოსყიდვაში დაეხმარნენ, 4 ათასს დაუსაკუთრეს. ის შეურაცხყოფა, რომ ასახლებდნენ და ნილბინი ხალხი ყრიდა სახლებიდან, კარგა ხანია, აღარ არის. ახლა შენდება 26 კორპუსი, ეს გარდატეხავს ამ პრობლემას, ბიუჯეტში 24 მილიონი ჰქონდათ და დღეს 84 მილიონია, ეს ტენდენცია იზრდება. 2008 წელს გაუზრებელი ომი რომ მოგვახვიტავს თავს, ჩვენი მეგობრებისგან გამოყოფილი 4 მილიარდიდან მესხუთედი რომ მიემართა „ნაციონალურ მოძრაობას“ ღვენილების დასახმარებლად, ეს პრობლემა აღარ იქნებოდა. დონორებთან მიდის მოლაპარაკება. ზუგდიდში, ფოთში, წყალტუბოსა და ქუთაისში შეიძლება აშენდეს სამართლიანი სახლები, მზის ენერჯიაზე იქნება საუბარი. ასევე არის მარნეულსა და კრწანისში სხვა ტიპის პროექტები დაგეგმილი“, - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

მარკველაშვილი თინეიჯერის ღონეზეა...

ბიძინა ივანიშვილი საქართველოს პრეზიდენტს კვლავ აკრიტიკებს და ამბობს, რომ ის მისი ყველაზე დიდი შეცდომაა და ამის გამო ბოდიშს მოიხადა.

„არ მინახავს, ამ ასაკის კაცი დიამეტრულად იცვლიდეს ხასიათს, თინეიჯერის ღონეზეა. საკუთარ თავთან გარკვევაშია ეს კაცი დღემდე და ეს პრობლემა ვერ გავითვალისწინე. ოდესღაც გამოაცხადა, ივანიშვილთან ვარ დაპირისპირებაში, რადგან შევედი პრეზიდენტის სასახლეში. არავითარ შემთხვევაში - ის საკუთარ თავთან არის დაპირისპირებაში. როცა მოვიდა, იყო ერთი ტიპის მარგველაშვილი და დიამეტრულად სამირისპირო გახდა. ასეთ ასაკში მსგავსი კაცი სხვა არ მინახავს, ასეთი შეცდომა არ მინახავს“, - აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

რაც შეეხება გუნდის შერჩევას, როგორც ივანიშვილმა აღნიშნა, დღევანდელი გუნდი მთლიანად შერჩეულია გიორგი კვირიკაშვილის, კახი კალაძისა და ირაკლი კობახიძის მიერ.

„აბსოლუტურად არც ერთი მაჟორიტარი ჩემგან დასახელებული არ არის, ერთი-ორ კაცს მიეცემა რეკომენდაცია, მგონი, ერთი გაითვალისწინებს სამიდან“, - თქვა ბიძინა ივანიშვილმა.

ჩვენი ერთადერთი არჩევანი ვეროპაა

„ჩვენ ვეროპელები ვართ, საქართველოს არა აქვს ალტერნატივა არჩევანში. რუსეთმა თავდა უნდა გამოკვეთოს, რა სურვილი აქვს. არ მინდა, უარყოფითი კონტექსტში რამე მინიშნება, ჩვენ ურთიერთობები უნდა დავალაგოთ. ჩვენი ერთადერთი არჩევანი ვეროპაა, არა აქვს ალტერნატივა დღეს ვეროპას, ეს სწორი მიმართულებაა“, - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს. მისივე თქმით, ეს არ ნიშნავს, რომ აუცილებლად სწრაფად გავხდეთ ვეროკავშირის წევრები.

„ჩვენ უნდა დავაფუძნოთ ღირებულებები და ვისწრაფვოდეთ, რომ ვეროპელებს ჩვენთან თანაცხოვრება მოუნდეთ. ყველა რესურსი ამისა გვაქვს და ჩვენ ამას უახლოეს მომავალში მოვახერხებთ“, - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

როგორც კი მოვედით ხელისუფლებაში, 10-12-მა კასმა განსხვავდა, რომ გადავფიქვართ აქამო მხარეს!

ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, როგორც კი ხელისუფლებაში მოვიდნენ, რამდენიმე ბიზნესმენმა სწორი გადამწყვეტილება მიიღო და „ქართული ოც-

ნების“ მხარეს გადავიდა. ივანიშვილმა ბიზნესმენები კახაბერ ოქრიაშვილი და ცეზარ ჩოჩელი წარმატებულ ბიზნესმენებად მოიხსენია და განაცხადა, რომ ისინი არც „ნაციონალურ მოძრაობას“ შეუქმნია და არც „ქართულ ოცნებას“.

„მათ სხვებისგან განსხვავებით, რომლებიც დღესაც ვერ ახერხებენ სწორი გზა აირჩიონ, როგორც კი მიეცათ საშუალება, უარი თქვენს მოძალადე ყოფილ ხელისუფლებებზე და გადმოვიდნენ ჩვენსკენ. მაშინ ვინც გაუნია წინააღმდეგობა სააკაშვილს, სად არიან დღეს? ზოგი დაარბიეს, ზოგი გადაწვეს, ზოგი ციხეში შეაგდეს. ამ ხალხს გონება ეყო და გაუზრებელ ძალას წინ არ დაუდგნენ, მაგრამ სააკაშვილით არ შეუქმნია ბიზნესი ოქრიაშვილს. იმდენი ჭკუა ეყოთ, არც თავი მოაკვლევინეს, არც თავი დააჭერინეს და არც დაარბევინეს, ამაზე ნუ ვუსაყვედურებთ“, - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.



სასტუმრო განმუხურში და ბოტანიკური ბაღი...

ჟოჯოხის პრემიერ-მინისტრის განმარტებით, ის განმუხურში მაღალი კლასის სასტუმროს აშენებას „თანხვედრების ფონდთან“ ერთად აპირებს. მისი თქმით ე.წ. საზღვართან მაღალი დონის სასტუმროს მშენებლობა, რომელშიც 40 მილიონი ჩაიდება, არა კომერციული, არამედ პატრიოტული გადაწყვეტილებაა. ბიძინა ივანიშვილმა „ნაციონალური მოძრაობა“ სიცრუის გავრცელებაში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ ზღვაზე მისასვლელი სანაპიროს გადაკეცვა და არც ბულვარის მითვისება არ ხდება.

მანვე ანაკლიაში, ბოტანიკური ბაღის მშენებლობაზეც ისაუბრა, რომელსაც „ქართუ“ დააფინანსებს.

„20-25 წელზე მეტია, თბილისის და ბათუმის ბოტანიკურ ბაღებს ვესმარები, შევთავაზე ზუგდიდის დირექციას დახმარება ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღთან დაკავშირებით და დადიანების სასახლეზეც, თუმცა სკეპტიკურად მიყურებდნენ. თავიდან მითხრეს, რომ საჭირო არ იყო ჩემი დახმარება, მაგრამ მერე თვითონ დამიკავშირდნენ. ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში ფონდი „ქართუ“ ახორციელებს ინვესტიციებს. მე კულტურული ძეგლების აღდგენით დაინიყვე საქართველოში საქმიანობა, მე ხეები კი არა ადამიანები მიყვარს... ქვეყანა მიყვარს, ხეებსაც მისწვდა ჩემი სიყვარული. უნდათ, წარმოაჩინონ, თითქოს მსოფლიო ხეები მიყვარს. 500-ზე მეტი ძეგლი აღვადგინე, ამაზე არავინ საუბრობს. ღმერთმა შეუნდოთ...“

„ნაციონალურ“ ყველაზე დიდი მხარდაჭერა სამეგრელოში აქვს, მაგრამ ამ მაინც „ოსნება“ გაიმარჯვებს!

გამოძიების აჩვენებს, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ ყველაზე მეტი მხარდაჭერი სამეგრელოში ჰყავს, - განაცხადა ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა და დასძინა, რომ ამის მიუხედავად დარწმუნებული ვარ, რომ საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნება“ სამეგრელოში გაიმარჯვებს, „არჩევნები იმისთვისაა, რომ შევეჯიბროთ. შეჯიბრი უნდა იყოს და არა ბრძოლა. ბრძოლა ჩვენ გავიარეთ 2012 წელს ძალიან მძიმე და იმედი მაქვს, ბრძოლის ნაცვლად კულტურულ არჩევნებს ჩავატარებთ“, - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ზვიად გამსახურდიას დიდ პატივს მივაბუ!

მსპრეზიდენტი ბიძინა ივანიშვილი ზვიად გამსახურდიასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას განმარტავს, რომლის თანახმადაც, საქართველოს პირველი პრეზიდენტი პოლიტიკურად გამოუცდელი იყო.

ზუგდიდში ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზე მან განაცხადა, რომ გამსახურდიას დროს მოხდა ყველაზე დიდი გაერთიანება საქართველოში და მას დიდ პატივს სცემს.

„ალბათ, არასწორად გაიგეთ, მე ვახსენე ზვიად გამსახურდია და ვთქვი, რომ დიდ პატივს ვცემ. მისი მამა ჩემი საყვარელი მწერალია, ზვიადის დროს მოხდა ყველაზე დიდი აღზევება და გაერთიანება საქართველოში. ზვიადის მმართველობის დროს მივალწიეთ პიკს.

ახალმა ხელისუფლებამ მოახერხა მის მკვლელობაზე საქმე გადაეტანა განზრახ მკვლელობაზე და გამოძიება გრძელდება და დიდი ეჭვი მაქვს, რომ ის მოკლეს. თუ რამე მმართველობაზე ვთქვი, ამ კონტექსტში ვიგულისხმებ გამოუცდელი ხელისუფლება იყო. 25 წელია, მოჯადოებულ წრეზე ვტრიალებთ და ზვიად გამსახურდიამ დაიწყო ამ მოჯადოებულ წრეზე სიარული და გამოუცდელი გამოდგა ჰქონდა და ყველაზე დიდი გამოუცდელი იმ გუნდს გააჩნდა, დღეს კი ჩვენ მივიღეთ ხელისუფლება, რომელსაც უკვე გამოცდილება აქვს“, - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

რევოლუსიით იმუქრება, მაგრამ ამის თავე არა აქვს!

ჟოჯოხის პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ექსპრეზიდენტი რევოლუსიით იმუქრება, რისი რესურსიც მას არ გააჩნია.

„პრეზიდენტი დევნაშია და ის ხელმძღვანელობს რეალურად საარჩევნო შტაბს. ეს ნორმალურია? ოთხ საქმეზე აქვს ბრალი წაყენებული, დევნაშია პრეზიდენტი და დღეს ლამის ლიდერად გამოიყვანეს წინა პლანზე.

მისი მეუღლე ამბობს, რომ თვალზე ჩახედა რომ არ ჩამოდის, საკუთარ სახელმწიფოს პატივს არ სცემს და პროკურატურის კითხვებს პასუხს არ სცემს; ეს ნორმალურია?

ისევ რევოლუსიით რომ იმუქრება და ამის თავე არ აქვს, ამ საცოდავს, ამის რესურსი არ გააჩნია და ისევ რევოლუსიით გვაშინებს, ნორმალურია? რა თქმა უნდა, არანორმალურია“, - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

„ფიზიკურად უნდა ვიყო!“

ბიძინა ივანიშვილი ამბობს, რომ საპარლამენტო არჩევნებში პროვოკაციები მოსალოდნელია. ამის შესახებ ივანიშვილმა ტელეკომპანია GDS-ის საარჩევნო პროექტის „შეხვედრები რეგიონულ მედიასთან“ მორიგ გადაცემაში, კორცხელის ინციდენტთან დაკავშირებული კითხვის საპასუხოდ განაცხადა.

„გამოძიება არ დასრულებულა, თუმცა ის ხელკეტები, რომელ მანქანაშიც იდო, კარგად ჩანდა. პროფსიონალები არიან პროვოკაციების დაგეგმვაში.

„ქართულ ოცნებას“ მართებს მეტი სიფრთხილე, კამერები უნდა იყოს ძალიან ბევრი ამ არჩევნებში, ისევე, როგორც იყო 2012 წლის არჩევნებში და ჩვენ კამერებით მოვახერხებთ იმ ძალადობის შეჩერება, რაც სახელმწიფო სტრუქტურებიდან, პოლიციიდან მოდიოდა. პოლიცია იყო ძალადობის ძირითადი ინსტრუმენტი. პროვოკაციები ნაკლებად, მაგრამ მცდელობები ბევრი იქნება. ფიზიკურად უნდა ვიყო“, - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.



აზრამ სხვაზე, სამხმ სხვაზე

ბისმარკის ჯილა,

ანუ დუხელი კვლი მასწავლებლის — მიტუა პაპას წერილი ნათელანთ შალიკოს

„არცროდის იმდენს არ ტყუიან, რამდენსაც ომის დროს, ნადირობის შემდეგ და არჩევნების წინ“.

ოტო ფონ ბისმარკი

ბავშვობიდან ეშვას ფეხის მომჭმელი იყავი, პაპა გენაცვლოს, ჩემო შალო ბიჭო, სულ თავში გავარდნა გიყვარდა, პირველობას არავის უთმობდი — ნახირი იყო, სკოლა თუ ქიდაობა, მერე აკი კომუნისტების პროკურორიც გახდი, თბილისი რომ არ იკმარე, მერე მოსკოვში წახვედი სასწავლებლად, დღემდე სო რუსულის ცოდნით გვაკვირვებდი, ახლა ინგლისურის ახალი დუშური დიალექტი შექმენი და თვითონ თეთრი სახლის ბინადარი გააოცე, შექსპირისა და ბაირონის მერე ასეთი უცხო ინგლისური ჩვენს ყურებს არ გაუგონიათ.

როგორც ამას წინათ ერთმა სტუმარმა მიხვრა, მაგ შენი ინგლისურის მიხედვით თურმე ერთი შენი ლეიბორისტი ახალგაზრდა დისერტაციას წერს და ამ ამბით უკვე ნიუ-იორკშიც დაგულისყურებულან და თვითონ ლონდონშიც. მართალი გითხრა, ცოტა შიში გამიჩნდა, ემანდ პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას, კერძოდ, ლეიბორისტულ



პარტიას სულ არ ჩამოგაშორონ და სიძველე მერე დაემატა და თბილისში არ გიკრან ეგ ტვინით გატენილი თავი, რომელიც აგრერიგად სჭირდება ჩვენს საქართველოს, ჩვენს ნიჭგამოყვებულ ქართველობას. მეტადრე ახლა, როცა ინტერნეტს თუ დავუჯერებთ, 216 პოლიტიკური პარტიების იბრძვის პირველობისთვის. სუყველას ერთი დევიზი აქვს: საქართველოს კეთილდღეობა, ქართველი ხალხის ბედნიერი სვლინდელი დღე. მაგრამ, როგორც იტყვიან, აბრა სხვაა, საქმე სხვაა!

მაგრამ გულს ის მიხარებს, რომ ამ 216 პარტიიდან შენი უკვე კარგა გვარიანად ხანდაზმული ლეიბორისტული პარტია ისევე სათვალმიწოდ გამოიჩინება, როგორც შენი ინგლისურის კილოკავი ინგლისური ენის ყველა სხვა კილოკავისგან. სულაც არ მეშინია იმის თქმა, რომ შენი პარტიის გარდა, ორასზე უმეტესი პარტია ცრუობს: როგორც ახლა ამბობენ, კარგა გვარიანად აბოლებს ხალხს, რომელიც აგერ 25 წელიწადია, დაპირებათა უძირო მორევეში იხრჩობა.

შენ ჩემზე კარგად მოგეხსენება, რომ ნამდვილად უჭეუო კაცი არ იყო მამაცხონებული ბისმარკი, რომელიც 1859-1862 წლებში პრუსიის ელჩი იყო რუსეთში და, ალბათ, რუსულმა სინამდვილემ ათქმევინა: „ადაშიანები არცროდის იმდენს არ ტყუიან, რამდენსაც ომის დროს, ნადირობის შემდეგ და არჩევნების წინ“.

ბევრისგან განსხვავებით, შენ ჯერ კიდევ ბავშვობაში, მოწაფეობის დროსაც არ იცოდი ტყუილი, თუ როდისმე გიცრუია, ისიც საქმის გამოსწორების მიზნით, აბა, შენ როგორ იკადრებდი იმას, რაც სააკაშვილმა 2008 წლის ომის დროს იკადრა: ნაგებულ ომზე თქვა, მოვიგეთო, თუმცა ჩემდა გასაოცრად, ამ ბოლო დროს რაღაც სააკაშვილის დაკრულზე ცეკვა, როგორც ჩანს, მაგ მამაძალმა ქეცივით გადმოგოდ ტყუილების სენი.

შენ არც ნადირობიდან დაბრუნებულ ჯიხვმონადირებელს გითქვამს, ჯიხვი მოკვალა, მაგრამ არ წამოვიდო.

არც წინა არჩევნებისას დაფრქვე-

ულხარ ზოგიერთებით ტყუილებად, უბრალოდ ამომრჩეველს ჭკუა არ ეყო, რომ სწორედ შენ აერჩიე ქვეყნის პრეზიდენტად და არა შევარდნაძე, სააკაშვილი ანდა მარგველაშვილი, რომელთაც მხოლოდ ტყუილების წისქვილის ღრითის მოწმენი გაგვხადეს მთელი ამ ხნის მანძილზე.

მაგრამ, როგორც ვხედავ, ჩემო ვარსკვლავა ბიჭო, შენმა დრომაც ჩამოჰკრა... თუ თავლაფდასხმული ნაციონალები გამარჯვების მეორე დღესვე გვაპირდებიან 50 ლარით პენსიის გაზრდას (რის თავდებადაც დამნაშავე სააკაშვილმა ოდესიდან მეგრელების მოსალოდებლად თავისი კული — ჰოლანდიელი ცოლი გამოგზავნა), სამაგიეროდ, თავისუფალი დემოკრატები 300 ლარამდე ზრდიან პენსიას.

ერთი სიტყვით, წინასწარჩვენოდ მუქთა ცხოვრების მოყვარულმა პარტიებმა დაპირებების მთები დადგეს. მაგრამ მე მხოლოდ შენი მჯერა, ყველაზე დიდო დუშელო, რომელიც კი ოდესმე თუ შეთში გაჩენილა. შენ ყველას გადაუჯოკრე: სად 50 ან 300 ლარი და სად 80 წლის შემდეგ პენსიის ყოველწლიურად 100 ლარის მატება.

მე ახლა 87 წლისა ვარ. ეს იგი, ლეიბორისტების გამარჯვების შემთხვევაში, ოქტომბრიდან ჩემი პენსია 860 ლარი გახდება და, ვინაიდან ჩემი შალიკოსის სიტყვა ბეჭედად მიცნია, ასე გაგრძელდება ყოველწლიურად.

ასე რომ, რაღა მომკლავს, ბატონო, 100 წლისა უკვე ყოველთვე 2 ათას ლარს ჩავიჯობავ, თუ ჩემმა დედაკაცმაც არ მიღალატა და იმ სოფლად არ გააბიჯა, ორივეს უკვე 4000 ლარი გვექნება, ანუ ჩვენი შემოსავალი და მიხედვით, თითქმის და უსწრებლად პარლამენტარების დონეზე ვიქნებით. სხვა რაღა დამრჩენია, თუ არა ის, რომ ლეიბორისტების გამარჯვება ვისურვო.

თქვენც ყველას მოგიწოდებთ, ხალხო, ჩვენი ხმები ერთად შევკრათ და თავიუღლივით მივართვათ ძვირფას ლეიბორისტების სახალხო ბელადს.

თუ სასწაული მოხდა და ერთი წამით წამოიხედა ცხონებული ბისმარკმა და გაიგო შალიკოს ამბავი, თავისი ფორმულის მესამე ნაწილს ნაღდად უკან წაიღებ და დუშეთის სასიქადულო შვილს, ინგლისური ენის ახალი დიალექტით გამამდიდრებელ შალიკო ნათელაშვილს თავის ჯილად მონათლავს.

ახლა მთავარია, ლეიბორისტებმა გაიმარჯვონ.

შალიკოს ხან კი გამოსდის ტყუილი, მაგრამ, რაც მთავარია, ზოგიერთებით წარამარა არ ცრუობს, ხოლო თუ იცრუა იმ სიბრუნოდან აუცილებლად სიბრუნე უნდა გამოიტანოს.

და გირჩევთ, თქვენ ჩემსავით ირწმუნოთ შალიკო ნათელანთ ბიჭის „სიბრუნე სიცრუისა“.

ლეიბორისტ ნათელაშვილს შენ ეგრე ნუ უყურებ ოტო ფონ ბისმარკო, ხო ხედავ შენს ნათქვამს როგორი ცივი წყალი გადაახსა!

და შენი ჯილაც გახდა! ვთქვით, მოხდა სასწაული და შენი მზრუნველობით 200 წელიწადი ვიცოცხლეთ მე და ჩემმა დედაკაცმა, მერედა სად უნდა წავილოთ იმდენი ფული ჩემი შალიკუნა?

გუარამ ნიკლაური

პარკად მოქალაქული ქართული ჯარი მნიშვნელოვანია ნატოსთვის!



ნატო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოსთან პარტნიორობას, ამის დასტურია, ის, რომ ჩვენ უკვე მეორედ ვიმყოფებით საქართველოში — ამის შესახებ ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ეროვნულ ბიბლიოთეკაში რეგიონში არსებული გამონვევების შეფასებისას განაცხადა.

სტოლტენბერგის თქმით, კარგად მომზადებული ქართველი ჯარისკაცი მნიშვნელოვანია როგორც საქართველოსთვის, ასევე ავღანეთის მისიისთვის.

მისი თქმით, საქართველო ნატოს რეალური პარტნიორია და მისი სტაბილურობა დადებითად აისახება რეგიონის სტაბილურობაზე.

„არსებითი პაკეტი არის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი იმისთვის, რომ გაგვეღრმავებინა პარტნიორობა. საქართველოსთვის ძალზედ კარგია ერთობლივი წვრთნები. ჩამოდიან შეიარღობული ძალების წარმომადგენლები ევროპის ქვეყნებში. ეს უსაფრთხო და დაცულ ქვეყნად გადააქცევს საქართველოს. ძლიერი საქართველო, კარგად მომზადებული ძალები ძალზედ მნიშვნელოვანია ჩვენთვის. მომზადებული ქართველი ჯარისკაცი ძალიან მნიშვნელოვანია ავღანეთში. ორივე მხარისთვის მნიშვნელოვანია პარტნიორობა და ამიტომაც მივიღეთ გადაწყვეტილება არსებითი პაკეტის გადამაჯობების“, — განაცხადა სტოლტენბერგმა.

„საქართველო ნატო-სთვის მნიშვნელოვანია. საქართველო ერთ-ერთი უახლოესი პარტნიორია. თქვენს ქვეყანა არის პარტნიორი, რომელსაც რეალურად მხარს ვუჭერთ. ჩვენ გუნამს სტაბილური, დემოკრატიული საქართველო კარგია თვითონ საქართველოსთვის და ასევე რეგიონის სტაბილურობისთვის. რასაც ვაკეთებთ, აღნიშნული დამადსტრუქტურულია. ჩრდილოატლანტიკური საბჭო იშვიათად მოგზაურობს, მაგრამ ჩვენ მეორედ ვართ საქართველოში. ეს არის იმ მაღალი მნიშვნელობის დადასტურება, რომელიც ნატო ანიჭებს საქართველოს“, — განაცხადა სტოლტენბერგმა.

ტედ პო: „დროა, ხმა ავიშავლოთ და მხარი დავუჭიროთ საქართველოს!“



„ბოლო 25 წლის მანძილზე საქართველო რეგიონში ყველაზე თავისუფალი ქვეყნა გახდა, რომელიც ყველაზე წინ არის ყვარა მმართველობის, ეკონომიკური რეფორმების, დემოკრატიის, კორუფციისა და ბრძოლისა და პრე-

დამხარ იბრძვიან ავღანეთში. „საქართველო აშშ-ის ღირებულები მოკავშირეა“, — აცხადებს ტედ პო.

სის თავისუფლების სფეროებში“, — ამის შესახებ 7 სექტემბერს აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი ორპარტიული რეზოლუციის განხილვაზე სიტყვით გამოსვლისას საქართველოს მეგობართა ჯგუფის თავმჯდომარემ, კონგრესმენმა ტედ პომ განაცხადა.

კონგრესმენი საქართველოსთვის რეზოლუციის მნიშვნელობაზე ამასვილებს ყურადღებას და განმარტავს, რომ რეზოლუცია საქართველოსადმი აშშ-ის სოლიდარობის გამოხატულების კიდევ ერთი მაგალითია. ტედ პოს განცხადებით, რეზოლუცია გმობს რუსეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას და პუტინს უგზავნის მკაფიო გზავნილს, რომ აშშ არასდროს აღიარებს საქართველოს რომელიმე ნაწილზე რუსეთის კონტროლს და რომ აშშ განაგრძობს თავის გრძელვადიან მხარდაჭერას თავისი პარტნიორებისადმი.

ტედ პო თავის განცხადებაში ცალსახად აღნიშნავს, რომ ამერიკის შვერტებულმა შტატებმა თავისი პარტნიორების მიმართ აღებული ვალდებულებები პირნათლად უნდა შეასრულოს და მსოფლიო პროცესებიდან უკან დახვევის ნაცვლად, მოკავშირეებთან ურთიერთობები კიდევ უფრო უნდა გააღრმავდეს. „დროა, ხმა ავიშავლოთ და მხარი დავუჭიროთ საქართველოს“, — ნათქვამია ამერიკელი კონგრესმენის განცხადებაში.

თამარ ჩუბოშვილის განცხადება



ბვინდა, გამოვცხადებო ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ვიზიტს საქართველოში, რომელიც უკვე რიგით მეოთხე ვიზიტია, რაც თავისთავად აღნიშნავს ნატოს განსაკუთრებულ მხარდაჭერას საქართველოს მიმართ. განსაკუთრებით გვიან, ყურადღება გაგაგამხილოთ იმ ძალიან მნიშვნელოვან გზავნილებზე, რომლებიც მივიღეთ ნატოს გენერალური მდივანისგან და ასევე სხვა წევრებისგან, რომლებიც დღეს საქართველოში იმყოფებიან. კერძოდ, განსაკუთრებული აქცენტად გაკეთდა იმაზე, რომ საქართველოს აქვს სერიოზული პროგრესი, ძალიან მნიშვნელოვანი პროგრესი რეფორმების კუთხით, მათ შორის დემოკრატიული რეფორმების კუთხით. ასევე, აღინიშნა, რომ საქართველოს გააჩნია ყველა ინსტრუმენტი იმისთვის, რომ გახდეს ნატოს წევრი და თანაც, საქართველო, განსაკუთრებულად ეფექტურად და სრულად იყენებს ამ ინსტრუმენტებს იმისთვის, რომ ერთი მხრივ და უახლოვდეს ნატოს და გახდეს მომავალში ნატოს წევრი, ხოლო მეორე მხრივ იმისთვის, რომ გაატაროს რეფორმები, განახორციელოს რეფორმები და შესაბამისად, განვაითაროთ, ასე ვთქვათ, ჩვენი საკუთარი ქვეყანა და შევიქმნათ ცხოვრების უკეთესი პირობები. მიგვაჩნია, რომ ეს ძალიან მნიშვნე-

ლოვანი მხარდაჭერა საქართველოს მიმართ და არის ასევე იმის ხაზგასმა, რომ საქართველოს ხელისუფლებმა ატარებს და ასორციელებს ძალიან სწორ საგარეო პოლიტიკას, რომელიც არის თანმიმდევრული და რომელიც არის მაქსიმალურად მშვიდი, გააზრებული, შეიძლება ითქვას პრაგმატულიც. ჩვენ კიდევ ერთხელ გვინდა, გავუსვათ ხაზი, რომ მომავალი ოთხი წლის განმავლობაშიც გავაგრძელებთ სწორედ აი ამ კუთხით წარმართვას ჩვენი საგარეო პოლიტიკის, რაც აუცილებლად გახდება გარანტი ქვეყნის სტაბილური, მშვიდი განვითარების, როგორც ეს გასული ოთხი წლის განმავლობაში ხდებოდა. კიდევ ერთხელ გვინდა, მივსალმობ ნატოს გენერალური მდივანის შეფასებებს და გამოვხატავთ სურვილს და მზაობას, რომ ყველაფერი გავაკეთოთ ჩვენი მხრივ იმისთვის, რომ ნატოსთან კავშირი, ნატოსთან დაახლოება, ამ ურთიერთობების გაღრმავება სულ უფრო მეტად გაგრძელდეს.



პროქართული დიპლომატიის პასუხი თავდაყირა მოაზროვნე პოლიტიკოსებს და ექსპერტებს

თაღო ჯაფარიძე:

საქართველო — დასავლეთის ბუნებრივი პარტნიორი რეგიონში

7. როგორ გამოვიყენოთ ჩვენს ხელთ არსებული რესურსები მაქსიმალურად, ანუ როგორ ავიხილოთ თავიდან არსებული მიღწევები

საბარეო პოლიტიკის მიმართულებით ჩემი საბარეო-მენტო მუშაობის ოთხნობიანი პერიოდის შედეგებისას არ შემოიღია არ გამოყოფის ისეთი მომენტები, რომლებიც მოითხოვს უკეთეს კოორდინაციას. როგორც ქართული დიპლომატიური მისიის მრავალწლიანმა ხელმძღვანელმა აშშ-ში, მინდა აღვნიშნო, რომ „ყოფილი ელჩები“ არ არსებობენ. არც ერთი მათგანი, ვისაც დიპლომატიური საქმიანობის გამოცდილება აქვს, განსაკუთრებით ელჩების რანგში, ქვეყნისათვის დასაკარგი არ არის და მათი სათანადოდ გამოყენება აუცილებელია.

ამიტომ კარგი იქნება, თუკი საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების დაქვემდებარების ქვეშ და პარლამენტის სათანადო კომიტეტების აქტიური მონაწილეობით შეიქმნება ერთგვარი „დიპლომატიური კადრების ბანკი“. სამწუხაროდ, უახლოეს წარსულში, სააკაშვილის მართვლობის დროს, ხშირად მიიღებოდა ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც უფრო ბიზანტიის იმპერატორის კარზე მიღებულ „დიპლომატიურ გადაწყვეტილებებს“ მოგვაგონებდა. ინსტიტუციურად ამ პროცესიდან დღესაც მთლიანად ამოვარდნილია პარლამენტის მემკვიდრეობა. არა მხოლოდ პარლამენტს, მიმართულია დაკავშირებული კონსულტაციები ისევე, როგორც მათი შემდგომი დამტკიცების პროცედურაში ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო დღესაც საერთოდ არ მონაწილეობს და ესეც „ვარდოსნების“ ერთგვარი მემკვიდრეობაა. არა მხოლოდ პარლამენტს, მიმართულია დაკავშირებული კონსულტაციები ისევე, როგორც მათი შემდგომი დამტკიცების პროცედურაში ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო დღესაც საერთოდ არ მონაწილეობს და ესეც „ვარდოსნების“ ერთგვარი მემკვიდრეობაა. არა მხოლოდ პარლამენტს, მიმართულია დაკავშირებული კონსულტაციები ისევე, როგორც მათი შემდგომი დამტკიცების პროცედურაში ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო დღესაც საერთოდ არ მონაწილეობს და ესეც „ვარდოსნების“ ერთგვარი მემკვიდრეობაა.

არ შემოიღია კიდევ ერთ თემას არ შევეხო. ბოლო დროს გახშირდა პოლიტიკოსების, ექსპერტების, მთლიანად ჩვენი საზოგადოების დაყოფა ე.წ. „პრორუსულ“ (რომელთა რაოდენობა ძალიან მცირეა, ჩემს ხელთ არსებული მონაცემებით) და „პროდასავლურ“ თუ კონკრეტულად „პროამერიკულ“ ჯგუფებად თუ პიროვნებად. მაგალითად, არიან ადამიანები და პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ხელისუფლებას ირგებენ „პროდასავლურ“ ან „პროამერიკულ“ მანტიას და ამას საკუთარი ძალაუფლების, ჯგუფური თუ პირადი ინტერესების განსახორციელებლად იყენებენ და პრიმიტიული ლოზუნგების გამოყენებით, საკმაოდ ძლიერ მხარდამჭერებსაც პოულობენ დასავლეთში. პირდაპირ

გეტყვი, რომ ეს „სტრატეგიული“ რანჟირება, ვითომდა პოლიტიკური სიმპატიებიდან გამომდინარე დაყოფა, მე პოლიტიკურ სიბეცედ და პრიმიტიულად მიმაჩნია. ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარი დილემა სულ სხვა კონტექსტის მატარებელია: დღეს არსებული რისკებისა და გამოწვევების გათვალისწინებით ჩვენი ქვეყნისთვის უმთავრესია, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნე, იმ სტრატეგიულ „ბუნების ხიდზე“ გავლა, რომელიც ჩვენი გეოგრაფიიდან და გარემო არსებული გეოსტრატეგიული თუ გეოეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარეობს. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენნი ქვეყნისათვის ეს გზა უსასრულო და სულ აღმართში მიმავალია. ამ ურთულესი სტრატეგიული განტოლების ამოხსნისთვის მხოლოდ ხელისუფლების — იქნება ეს პრეზიდენტის ინსტიტუტი, მთავრობა თუ პარლამენტი — ჩართულობა არ არის საკმარისი. ნამყვანი რომელი ამ მრავალწახნაგოვან პროცესში ჩვენს საზოგადოებას, ჩვენს ხალხს ეკუთვნის, რომელმაც ზუსტად უნდა განსაზღვროს და ჩამოაყალიბოს როგორც დღეს არსებული ამოცანები, ასევე მთლიანად სტრატეგიული კონტექსტი და პერსპექტივები: როგორ სახელმწიფოს ვაშენებთ, საით მივდივართ და როგორ ქვეყანას ვუტოვებთ ჩვენს მომავალ თაობას. უნდა გავათვითცხოვოთ — და, რაც მთავარია, პირველ რიგში, ჩვენთვის და არა ჩვენი ევროპელი თუ ამერიკელი პარტნიორებისათვის — რომ ძლიერ და დემოკრატიულ სახელმწიფოს ვაშენებთ, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი მოქალაქეებისათვის, და ამას ვაკეთებთ პარალელურ და არა „ჯერ ძლიერი სახელმწიფო და მერე დემოკრატიის“ რეჟიმში. ჩვენს მისწრაფებას ევროპისკენ, დასავლური ფასეულობებისა და პრინციპებისკენ „მეტი მეტისათვის“ — მეტი რეფორმა, მეტი დახმარება ევროპიდან — ჩვენთვის ალტერნატივა არა აქვს.

8. ჩვენი საგარეო პოლიტიკის ამოხსნა, ანუ „პროქართული“

ჩვენი, ისევე როგორც საზოგადოების უმრავლესობისთვის (და აქ, რა თქმა უნდა, მე ჩვენს პატივცემულ ოპოზიციასაც გვულისხმობ), პრიორიტეტია „პროქართული“, ჩვენი ქვეყნის ინტერესების, მისი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის გაძლიერება და დაცვა. ზემოთ ჩამოთვლილი არგუმენტების გათვალისწინებით, ეს ძალიან რთული ამოცანაა და სწორედ ამიტომ საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერასთან ერთად გჭირდება შიდა კონსოლიდაცია. ამ მხრივაც ჩვენი არჩევანი ხისტი და სტრატეგიულად დეტერმინირებულია: საქართველოს დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტს და ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას უკვე მრავალი წელია, მხარს უჭერს დასავლეთი. უნდა ითქვას, რომ ფორმალურად რუსეთიც აღიარებს ჩვენს დამოუკიდებლობას და სუვერენიტეტს, ოღონდ გვთავაზობს ამ „აღიარების“ თავისებურ ინტერპრეტაციას: საქართველოს ტერიტორიების 20%-ის ოკუპირება, მავთულხლართები, გაყოფილი სოფლები, ოჯახები, სასაფლაოები, ადამიანების გატაცებები ამის ნათელი მაგალითებია.

სწორედ აქედან გამომდინარე ვიყურებით დასავლეთისკენ, ამერიკისკენ, არჩეული გვაქვს განვითარების დასავლური მოდელი — დემოკრატიული ინსტიტუტები, კანონის უზენაესობა, სამართლიანობა, ადამიანის უფლებების განუზრვლელი დაცვა. თუმცა, ამ მოდელის ცხოვრებაში რეალიზება ადვილი არ აღმოჩნდა, ზოგ შემთხვევაში ეს აღსაქმელადაც რთულია და ჩვენი მეგობრების მხრიდან მენტორული რიტორიკითა და გადაცდომებზე მუდმივი მითითებითა დახუნძლული. ცხადია, რომ დასავლეთი, და კონკრეტულად, ამერიკა, მხარს უჭერს საქართველოში დემოკრატიის განვითარებას, მაგრამ ამასთანავე ჩვენგან ძირეული, დემოკრატიული რეფორმების გატარებას ელოდება. ამ ურთულეს პროცესში დასავლეთისათვის პრიორიტეტია (თუმცა ეს პირველ რიგში ჩვენთვის უნდა იყოს პრიორიტეტი!) არა ამ რეფორმების რაოდენობა და უსასრულო „ფაზები“ და „ეტაპები“, არამედ მათი ხარისხი და შედეგები, რომლებიც საქართველოს მოქალაქეების ცხოვრების დონეზე აისახება. ეს პროცესი დრამატულ მენტალურ ტრანსფორმაციასთან, მთლიანად სახელმწიფოს მართვის სისტემისა და სტილის ძირეულ ცვლილებასთან არის დაკავშირებული. ამას სჭირდება დიდი დრო, თაობების ცვლა, უკვე მიღწეული შედეგების შენარჩუნება და არა მათი უგულვებელყოფა, დანგრევა და ველოსიპედის თავიდან გამოგონების მცდელობა. ეს ურთულესი პროცესია და ამ მიზნების მისაღწევად აუცილებელია სტაბილურობა და უსაფრთხო განვითარება. განა გასაგებია არ არის, რომ არც NATO და არც ევროკავშირი პანაცეა არ გახლავთ და ცხადია, რომ საქართველოსთვის საერთაშორისო კონფლიქტში არავინ ჩაერევა და საფრთხეს არ შეუქმნის საკუთარ ხალხს და საკუთარ ინტერესებს. მაგრამ მინდა დაგარწმუნოთ, გუბერნიადაც რომ მოვიდნოდით დაბრუნება რუსეთში, კერძო ჩვენი ძირითადი პრობლემის მოგვარებას — ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას — არ მოინდომებს, რადგან ეს მის სტრატეგიულ ინტერესებში არ შედის, ისევე როგორც კრემლის ინტერესებში არ შედის ძლიერი და დემოკრატიული საქართველოს, უკრაინის, მოლდოვას, სომხეთის, აზერბაიჯანის, მთლიანად „პოსტსაბჭოური“ სივრცის არსებობა. მათ თავისებური „სტაბილურობა“ აწყობთ — ჰყავდეთ სუსტი მეზობლები, სიტუაცია მიედინებოდეს ე.წ. დაბალი ინტენსივობის კონფლიქტების და კრიზისების რეჟიმში და ეს ყველაფერი მათ კონტროლს და ინტერესებს ექვემდებარებოდეს. ასეთია „სტაბილურობის“ რუსული ვარიანტი თუ ინტერპრეტაცია.

ასე იყო კონკრეტულად ჩვენთან მიმართებაშიც: რუსეთი საუკუნეების განმავლობაში ცდილობდა კავკასიონის ორივე მხრიდან გაკონტროლებას, რათა ახლო აღმოსავლეთისაკენ, „თბილი ზღვებისკენ“ მოკლე გზა და გარანტირებული მისასვლელი ჰქონოდა. 2008 წლის ომით მან საუკუნეების ოცნება მიხრულა: კავკასიონის ქედი კონტროლებს რუსეთის მიერ ორივე მხრიდან, ოკუპირებული ტერიტორიები გადაიქცა ერთ დიდ რუსულ ბაზად, დაკარგულია ჩვენი მიწების 20%-ზე მეტი. ეს არის დღევანდელი მწარე რეალობა. ამ ფონზე, „კარასინ-აბაშიძის“ ფორმატის არსებობა ერთადერთი და აუცილებელი საკომუნიკაციო სივრცეა. პარალელურ რეგულარულმა შეხვედრებმა გარკვეული შედეგიც გამოიღო ვაჭრობისა და ჰუმანიტარული ურთიერთობების სფეროებში, თუმცა მონაწილეთა არსებული მანდატის თანახმად ე.წ. „ნინო თელი ხაზების“ კატეგორიის საკითხების (პირველ რიგში კი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის) განხილვა გამოირიცხა. საქართველო მშვიდობისმოყვარე ქვეყანაა და ცხადია, რომ დიდ ჩრდილოელ მშვიდობელთან მოვახერხებდით რაციონალური და პრაგმატული ხასიათის ურთიერთობების დამყარებას, რომ არა სახელმწიფოებრივი განვითარების ორი, დიამეტრალურად და კონცეპტუალურად განსხვავებული მოდელი. ჩემი აზრით, სწორედ ეს გაერეობა გახლავთ განხეთქილების მთავარი მიზეზი.

რუსეთი იმართება აღმასრულებელი ვერტიკალის მეშვეობით, სადაც ყველაფერი ერთი ადამიანისა და მისი განწყობების ირგვლივ კონცენტრირდება. იქ არსებული ფორმალური „დემოკრატიული ელემენტებიც“ კი, მაგალითად პარლამენტი, უფრო მეტად ფასადურია და ე.წ. „არალიბერალური დემოკრატიის“ ნიშნით ხასიათდება. ამ ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მთავარი ამოცანაა უახლოეს სამეზობლოზე, რომელსაც ზოგი დასავლელი ექსპერტი ჯერ კიდევ „პოსტსაბჭოურ სივრცედ“ მოიხსენიებს, დომინირება და ამით საკუთარი „სასიცოცხლო ინტერესების“ გატარება და დაცვა. გვახსოვს ალბათ, რომ ამ „სასიცოცხლო ინტერესების გატარების“ დროს რუსეთის ხელისუფლება არა მხოლოდ მეზობლების მიმართ არის ხისტი, არამედ საკუთარ მოქალაქეებს თუ პოლიტიკურ დაჯგუფებებსაც დაუნდობლად ეპყრობა. საქართველო კი მყარად ადგას ევროპული განვითარების გზას. ჩვენი სახელმწიფოებრივი განვითარების მოდელი დემოკრატიული ინსტიტუტები და კანონის უზენაესობაა. გასაგებია, რომ განვითარების ეს ორი მოდელი შეუთავსებელია: რუსეთისთვის ჩვენს მიერ არჩეული გზა „კონფორმაციულია“, ჩვენთვის კი მართვის ეს რუსული სტილია მიუღებელი. მე ჩემს ერთ-ერთ სტატიაში აღვნიშნე კიდევ, რომ „ჩვენ გვინდა რუსეთთან კეთილმეზობლური, ნორმალური ურთიერთობება. ჩვენ არ გვინდა რუსეთში ცხოვრება!“

(დასასრული მომავლემო ნომერი)



მეხნიერები ყველას გასაგონად ვაპოვებთ!

დღეს საქართველოს სჭირდება ხელისუფლება, რომელიც ქვეყნის შესაქვავლობის მაქსიმუმზე იმუშავებს!

ხალხმა ეს უნდა იცოდეს!

რა მიხედვითა და მიხედვითა სინისთიანივთა ჯგუფმა „ეროვნული თანხმობის პარლამენტისათვის“ პოლიტიკურ პარტიებს ჯერ კიდევ იხილეს!

ჩვენ, გვჭირდება თანამშრომლობა არა პოლიტიკური ფრაქციების შექმნისთვის, არამედ დასხდომა მრგვალ მაგიდასთან, იმის აღიარება, რომ ქვეყნის დღევანდელი და ხალხის გაუსაძლისი მდგომარეობა, სწორედ ჩვენი ბრალია; აღიარება იმის, რომ ამ წლებში ჩვენში სერიოზულად გააჩინა ზნეობის დეფიციტი და უამრავი ზნეობრივი პროფესიონალი პოლიტიკოსი გარიცხა; აღიარება იმისა, რომ ჩვენს გარეთ, პარტიებს გარეთ გაცილებით მეტია ქვეყნისთვის მომართული, ძლიერი პოლიტიკოსი, ვიდრე ჩვენ შორის... ჩვენი ამოცანაა, ვიფიქროთ ასეთი ადამიანების პარლამენტზე...

გვინდა, ვირწმუნოთ, რომ ურთიერთობებში ჩვენი შევქმნის ერთგულნი თანხმობის, ხალხის ნდობით აღჭურვილი პარლამენტის ფორმირებას.

ეს დიდი ქართული გამარჯვება იქნება.

მიხედვით ამ პოლიტიკურ პარტიებს:

- „ახალი მემარჯვენეები“ – თავმჯდომარე მამუკა კაციტაძე;
- „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“ – თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე;
- „ეროვნულ ძალთა ალიანსი“ – თამარ ჩხეიძე, ნოდარ ნათაძე, მამუკა გიორგაძე;
- „ეროვნული ფორუმი“ – თავმჯდომარე კახაბერ შარტავა;
- „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ – თავმჯდომარე ზვიად ძიძიგური;
- „თავისუფალი საქართველო“ – თავმჯდომარე კახა კუკავა;
- „თეორები“ – თავმჯდომარე თემურ შაშიაშვილი;
- „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ – თავმჯდომარე სერგო ჯავახიძე;
- „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ – თავმჯდომარე გიორგი თოფაძე;
- „საქართველოს გზა“ – თავმჯდომარე თეიმურაზ მურვანიძე;
- „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ – თავმჯდომარე შალვა ნათელაშვილი;
- „საქართველოს მწვანეთა პარტია“ – თავმჯდომარე გიორგი გაჩეჩილაძე;
- „სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის“ – პარტია თავმჯდომარე გია ჟორჟოლიანი;
- „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ – თავმჯდომარე დავით თარხან-მოურავი;
- „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“ – თავმჯდომარე სათუნა სამნიძე;
- „სახელმწიფო ხალხისთვის“ – თავმჯდომარე პაატა ბურჭულაძე;
- „ქართული დასი“ – თავმჯდომარე ჯონდი ბალაიშვილი;
- „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ – თავმჯდომარე გიორგი კვიციანიძე;
- „ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატები“ – თავმჯდომარე ირაკლი ალასანიძე.

რა პასუხი მივიღებთ პარტიებისათვის

გამოგვეჩვენა მხოლოდ ერთი – პარტია „თეორები“ და გაიზიარა ჩვენი პოზიცია. ჩვენ ვაგრძელებთ ჩვენს მცდელობას, რომ დამთავრდეს ქვეყნის დაყოფა პარტიულ სამთავროებად, დაპირისპირება შეცვალოს თანამშრომლობის პარამონიზაციამ, დავარწმუნოთ პარტიები და ხელისუფლებაც, რომ ეროვნული და პოლიტიკური ოპტიმიზმი ეროვნული თანხმობის პარლამენტის შექმნაშია და გავაძლიეროთ ამ პროცესზე ხალხის გავლენა.

სხვა გზა არ გვაქვს. ხალხში ასეთი განწყობაა.

დაფინანსებისათვის
 ხალხი იწოდება მიხედვითა სინისთიანივთა ჯგუფის
 ამ შეფასებას
 დიდი ანალიზი არ არის საჭირო,
 ისედაც ნათელია, რომ:

- საქართველოში პოლიტიკოსები, ცნობილ მოღვაწეებს და, საერთოდ, ცნობილ ადამიანებს უფრო იყენებენ, ვიდრე აფასებენ. პოლიტიკოსები – განსაკუთრებით, სახელისუფლებო პარტიები, სპეკულირებენ ახალგაზრდებით, ვიდრე მათ რეალურად უჭერდნენ მხარს.

- დამოუკიდებელი საქართველოს საკადრო პოლიტიკამ სახელისუფლებო რგოლებს აკადემიზმი წაართვა, გაამეფა პრივილეგიები. საქმეზე ფიქრის ნაცვლად, ერთმანეთთან ჭორაობას უნდებიათ. ქვეყანა ჭორის გაგვრცელების და ჭორაობის ინსტიტუტებად აქცია.

- დამანგრეველი აღმოჩნდა თაობათა დაპირისპირების გარეგანი შემოგდებული ენ. პოლიტიკა.

- საქართველოში მოხდა ყველას და ყველაფრის პოლიტიზება. უსამართლობის გამო დადუშული ბიჭების სსოვნით დაწვეული, გაჭირვებულ ბიჭებს დახმარებით გაგრძელებული, ქუჩის ასფალტის დაგებით დამთავრებული შემადონებელია, რომ ეკლესია-მონასტრების მშენებლობა იქცა პოლიტიკაში მოსვლისა და დამკვიდრების საშუალებად. დროდადრო ჩვენს პოზიციას, ამ და სხვა ბევრ საკითხზე ჩვენს მიერ შესწავლილ მასალებს საზოგადოებას მივანვიძით. ჩვენ ისიც გვინდა, რომ საზოგადოებამ თავად გამოხატოს ამ საკითხებისადმი თავისი პოზიცია.

- რაც უფრო მეტი ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები შეიქმნა ქვეყანაში, კოლოსალურ დაფინანსებას რომ იღებენ უცხოეთიდან, მით უფრო დაუცველი გახდა ადამიანი და მისი უფლებები. გინახავთ რომელიმე პრინციპული პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს მოსახლეობის 80-90 პროცენტი ვერ იღებს სიცოცხლის და არსებობისთვის აუცილებელი კალორიების მინიმუმს, გვინახავს, ამითაგან ვინმეს რომ დაეცვას პენსიონერის, უზარის, მასწავლებლის, ექიმის, თუნდაც სტუდენტ-ახალგაზრდობის უფლებები. ყველა პატიმარებზეა ორიენტირებული და რვეოლუციები და სახელისუფლო ცვლილებები ციხეებიდან იწყება. არ დაგვიჭრდეთ იმაზე, რომ რაც მეტი პიროვნება არ შემოვიყვანოთ სახელისუფლებო რგოლებში, მით უფრო დაუცველი გახდება საქართველოს ბუნება, ქართული მინა-წყალი და, რაც ერთ-ერთი ყველაზე დიდი უბედურებაა – კვების პროდუქტები შიშის ზღვარზე მყოფმა აფრიკის ყველა სახელმწიფომ არ დაუშვა თავის ქვეყანაში გენმოდვიერებული კვების პროდუქტები. საქართველოში?

- უამრავმა ქვეყანამ, ბოლოს შეედეგმა, აკრძალა ხის მოჭრა თავის ქვეყანაში. საქართველოში? გრძელდება ქვეყნის პარტიულ სამთავროებად დაყოფა, გრძელდება მეგობრობით და პირადი ერთგულებით ხალხის შერჩევა, გრძელდება დაპირისპირება პოლიტიკაშიც და პოლიტიკის გარეთაც, წარმოუდგენელი ტემპით მიმდინარეობს ინტელიგენციის გაპარტიულება; განათლების, მედიცინის, სპორტის პოლიტიზება; პოლიტიკით გამდიდრებული და ბიზნესინტერესების მქონე ფულიანთა გაპოლიტიკოსება; ჯარის და, საერთოდ, ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენელთა, ასევე არაქართული მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ამომრჩეველთა ერთ პოლიტიკურ სმად გადაქცევა.

- დამანგრეველია პოლიტიკური მანიით შეპყრობილთა სურვილი, პოლიტიკურ პროცესებში ჩართონ ქართული მართლმადიდებელი ეკლესია.
- ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც, როგორც ჩანს, მეცენატობა პოლიტიკური დივიდენდებისთვის გამოიყენება.
- პრაქტიკულად იგნორირებულია ქვეყნის გარეთ მცხოვრებ ადამიანთა პოლიტიკური პოზიცია. არადა, ისინი ამომრჩეველთა თითქმის 60%-ს შეადგენენ. სამწუხაროდ, არ იქნა გაზიარებული ჩვენი პოზიცია, დემოკრატიული ევროპის მსგავსად, პარლამენტში წევრები აერჩია ქვეყნის გარეთ მცხოვრებ ჩვენს მოქალაქეს.
- პრაქტიკულად იგნორირებულია სახელმწიფო კაცების, კულტურის, ხელოვნების, მეცნიერების მოღვაწეთა პოზიცია ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში... ისინი წლების განმავლობაში ვერ ახერხებენ ხელისუფლების მაღალი ემულონების წარმომადგენელთან არათუ შეხვედრას, არამედ მათთვის ხმის მიწოდებას.

- ხალხს ვეძებთ მხოლოდ საკუთარ გარემოებაში და ვეძებთ არა ქვეყნისადმი ერთგულების, არამედ პირადი ერთგულების პრინციპით.

- მთელი საინფორმაციო სივრცე, მეტიც, საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა სფერო გაჯერებულია სიძულვილის ენით, აგრესიით, ურთიერთზიზზით, განსხვავებული პოზიციის პოლიტიკოსებსა და მათი გუნდების მიმართ. პოლიტიკოსები, ნაცვლად ერთმანეთთან საუბრისა, ერთმანეთზე ვლავარაბობენ.

- პოლიტიკური ლიდერები ხელისუფლებაში თუ ხელისუფლების გარეთ გაცილებით მეტად აფასებენ პარტიიდან პარტიაში მორბენალთ, პირდაპირ ვთქვათ, მოლაღატებს. დღეს ლაღატი პოლიტიკური დივიდენდების მოპოვების ერთ-ერთ მთავარ მექანიზმად იქცა. მრავალპარტიული პარლამენტის ნაცვლად, უკანასკნელი 15-20 წლის განმავლობაში, ჩვენ ვიღებთ არა მრავალპარტიულ პარლამენტს, არამედ „მრავალპარტიულ პარლამენტარებს“.

ასეთია რეალობა, რეალობა, რომელიც მკვეთრად განსხვავდება „ნაციონალების“ მმართველობის განმავლობაში. ჩვენ ამას ვაფასებთ, მაგრამ წინა ხელისუფლებაზე უკეთესი არ ნიშნავს იმ ხელისუფლებას, რომელსაც იმსახურებს საქართველო და ქვეყნის მოსახლეობა.

მეხნიერები ყველას გასაგონად ვაპოვებთ!

საჭიროა არა ისეთი ხელისუფლება, რომელიც რაც შეუძლია, იმას აკეთებს, არამედ დღეს საქართველოს სჭირდება ხელისუფლება, რომელიც ძველნი შესაქვავლობის მაქსიმუმზე იმუშავებს.

მიხედვით, მაგრამ სიყვარულით და იმედით ნათქვამი

ჩემი სათქმელი თქვით. ეს სიტყვები ხშირად გაისმის მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის მიერ გამოქვეყნებული მასალების კომენტარებისას. დამაფიქრებელია, ძალიან დამაფიქრებელია, რომ უამრავი ადამიანი თავის ნათქვამად მიიჩნევს ცნობილი სპორტსმენის და საზოგადო მოღვაწის რომან რურუას ამ მოსაზრებას:
 „გულს მიკლავს, რომ უამრავი ჩვენში, მათ შორის, ისინიც, რომელთა მიმართაც კეთილი განწყობის უფლებო იშველენაში არ არიან, დამარცხდნენ პარტიის და არა ძველნი გადარჩენაში. ფიქრობენ მეგობრების, საპუტარი სტატუსისა და სპამის და არა ძველნი გადარჩენაში. დამწვარა ყველა სპამიც და რა ჯანდაბად გვიწინა პარტიები, ასეთი მეგობრობა, თუ ხალხი და ძველნი ამ მდგომარეობაში იძენება?!“

მძიმე ნათქვამია, მაგრამ გულით... სიყვარული და იმედია ამ სიტყვებში.
 ქვეყანაზე მოფიქრალი და ხალხის მსახური ხელისუფლება გვინდა.
 იფიქრეთ ამაზე ხმის მიცემაში!



მეხნიერთა საინიციატივო ჯგუფის დიდი შეხვედრა



ამ ქვეყნის ბატონ-პატრონი

სასონარკვეთილი ხალხი, გაპროტესტებული მაჰიმბლები, იბნორირებული ოქროს ფონდი

ამ სათაურმა ბევრი დააფიქრა, ბევრი გააღიზიანა, ბევრს იმედი მისცა, ზოგიერთს — უიმედობა. ჩვენ ერთი რამ ვიცით, სწორი დიაგნოზი მოქმედების სწორ გზაზე გაგვიყვანს. ჩვენ არსებულ ვითარებას გვერდებიდან ვუყურებთ და ხალხში არ გავედით. არ ვიცი, ალბათ ჩვენც, მეცნიერებსაც შეგვემინდა, თავის დროზე ხალხისთვის გვეთქვა:

რომ ტყუილია დაპირება - ერთი მილიონი საშუალო ადგილი.

არც მაშინ აღმოვჩნდით მეცნიერული პასუხისმგებლობის დონეზე, როცა ხელისუფლებამ საარჩევნოდ

გაიხრულა დიდი სისრუე სტაბილურობიდან - კატილდლოვებამდე...

უბრალებელია ჩვენი პასუხობა, როდესაც ვარდების ხელისუფლება საარჩევნოდ დაგვიპირდა სიღარიბის საბოლოოდ დაძლევა...

დღესაც, პოლიტიკური პარტიები, უაზრო საარჩევნო დაპირებებით შეურაცხყოფას გვაყენებენ. ზოგი პენსიების გაორმაგებას გვპირდება, ზოგი — სამუშაო ადგილებს, ზოგი — უმაღლეს კეთილდღეობას, ზოგი — უზომო დახმარებებს.

პოლიტიკური უტიფრობა იქამდე მიდის, რომ ზოგიერთი პოლიტიკური პარტია

უკვე 9 ოქტომბრიდან გვაპირდება გალაგებულ ცხოვრებას.

პოლიტიკური უტიფრობა რომ ქვეყნისთვის დამანგრეველია, ეს უკვე ცნობილია, მაგრამ ჩვენც რომ ამ ანკესს მაინც ვეგებებით?

მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის მთელი შემადგენლობა პირად შეურაცხყოფად ვიღებთ დაპირებას,

რომ 9 ოქტომბრიდან ერთი მილიონი საქართველოს მოქალაქე მიიღებს დახმარებას (აპუაგად 400 თუ 500 ათასი მოქალაქე იღებს).

ანალიზი დაინფორმაციით გოლოდან

რომ შეგეძლოს, რეალურად 3-მილიონიან ქვეყანაში 1 მილიონს მისცე დახმარება, ამაზე მეტი დამანგრეველი რა შეიძლება გააკეთო შენი ქვეყნისთვის? ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ უდიდესი ტრადიციების ქვეყანა დღეს აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის ყველაზე გაჭირვებულ ქვეყნებზე უარეს მდგომარეობაში ჩააყენო. პოლიტიკური პარტია ამას ეძიებს იმით, რომ გვთავაზობს ვიყოთ მათხოვრების, ლატაკების ქვეყანა.

ჩვენი ანალიზით, ერთსა და იმავე პოლიტიკური იდეოლოგიის პარტიებთან და უცხოეთის ერთი და იგივე ცენტრიდან მართულ პოლიტიკურ პარტიებთანაა დაკავშირებული მთელი ის პროცესი, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ.

საქართველოს უბედურება დაიწყო „ნულოვანი პრივატიზაციის“ იმ ფორმით, რომელიც „მოქალაქეთა კავშირის“ ენ. რეფორმატორთა გუნდმა შესთავაზა საქართველოს. ამ გუნდს სწორედ მიხეილ სააკაშვილი ედგა სათავეში.

დააკვირდით, ნულოვანი პრივატიზაციით ჯართად აქციეს სამუშაო ადგილები, მაღალტექნოლოგიური დაზავადანადგარები და მოწყობილობები. უმუშევარ ხალხს მილიონი სამუშაო ადგილი, კეთილდღეობა და კარგად ცხოვრება, სიღარიბის დაძლევა შესთავაზეს. შედეგად რა მივი-

ღეთ? ქვეყანაში მილიონი უმუშევარი, ქვეყნიდან მილიონობით დევნილი, სასონარკვეთილი ადამიანები, ნულოვანი აუქციონით გამდიდრებული უზნეონი და ამ უკანასკნელთა ლტოლვა ხელისუფლებისკენ.

ჩვენი მდგომარეობა უმძიმესია, მაგრამ არა იმიტომ, რომ ცუდად ვცხოვრობთ, არამედ არ ვიცით, რატომ, ვისი პროგრამებით და ძალისხმევით ვცხოვრობთ ცუდად. გავისხენოთ მუსრან მაჭავარიანი: „საქმე იმიტომ უფროა ცუდად, რომ ცუდად როა, არ იცის ბევრმა“.

ქვეყნის ბედნიერებაა მდიდარი კაცი და მდიდარიც ბედნიერია იმ ქვეყანაში, სადაც პოლიტიკის კენ მდიდრები არ მიილტვიან. საქართველო გამოწვევისათა შორის გამოწვევისაა. მავანმა რაც მეტი ფული იშოვა საქართველოში გამეფებული უკანონობით, მით მეტად გაუჩნდა სურვილი პოლიტიკაში მოსვლისა და გაბატონების. მათ ზუსტად მიესადაგება დიდი მონოპოლიტიკისა და მეცნიერის ალბერტ აინშტაინის გამონათქვამი:

„გაუნათლებლობა რა მაგარი რამეა, ყველაფერი იცი“... მართლაც გენიალური ნათქვამია. საქართველოში ამ ფრაზას ორი სიტყვა უნდა დაემატოს: „ყველაფერი იცი და ყველაფრის უფლებაც გაქვს“.

ჩვენ იმედიანად ვუყურებთ საქართველოს მომავალს

დღევანდელი ინტელექტუალური, ადამიანური, ბუნებრივი რესურსების პირობებში. კიდევ ერთხელ ვიმეორებთ: საჭიროა მდგომარეობის ღრმა მეცნიერული ანალიზი და ზუსტი დიაგნოზი. არ ვკონკრეტდებით, მაგრამ ძალზე დილტანტურად, ზერეულად, სუბიექტურად და რაც ყველაზე ცუდია, სათავისოდ ტენდენციურად გვეჩვენება ის შეფასებები, რომელიც, სამწუხაროდ, იმ რამდენიმე ადამიანისაგან გვემის, ვის მიმართაც ჯერ კიდევ დიდი ნდობაა საზოგადოებაში. ამ შეფასებებით ვერც ქვეყანა წავა წინ და თვითონაც უახლოეს პერიოდში თავს მძიმე მდგომარეობაში ჩაიგდებენ.

მეცნიერება, საზოგადო მოღვაწეობა, რეალურად და ნაღმა პოლიტიკოსებმა ხელიდან უნდა გამოვვლიჯოთ ქვეყანა პიარის დიდოსტატ ე.წ. პოლიტიკოსებს.

ეს კი ხალხის გარეშე წარმოდგენილია. არ გვინდა, მოვლენებს წინ გავუსწროთ, მაგრამ პოლიტიკური სიები ასეთ დიდ, ქართულ პროგრამაზე ნამდვილად არ არის ორიენტირებული. პარტიებიც და პოლიტიკოსებიც გაკოტრდნენ ფულიანებისადმი მორჩილებით. ვერც ერთ ქვეყანაში, რა მდიდარიც უნდა იყოს, ასეთ მდიდრულ საარჩევნო კამპანიას ვერ ნახავ. დაწყებული იმით, რა თანხას უზდიან ტელევიზიებს, საინფორმაციო საშუალებებს, როგორ აფორმებენ საარჩევნო შტაბებს, როგორ გადაადგილდებიან, რა დაცვა ჰყავთ, რა ფულს ურიგებენ საარჩევნო შტაბებში დასაქმებულთ, როგორ ყიდუ-

ლობენ ენ. კოორდინატორებს და ამ უკანასკნელთა საშუალებით რა თანხებს ურიგებენ მოსახლეობას მოსყიდვის მიზნით.

ჩვენ ჩვენი გზით მივდივართ...

მაქსიმალურად ზუსტად შევისწავლოთ ქვეყნის პოტენციალი, მაქსიმალურად ზუსტად დავსვათ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის დიაგნოზი, მაქსიმალურად ზუსტად შევიმუშაოთ ამ მდგომარეობის ქვეყანაში, როგორ მოვიყვანოთ ქვეყნის პოტენციალი მოქმედებაში და როგორ გამოვიყენოთ ამ საქმისთვის „ყოველთა ქართველთა, საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა საერთაშორისო კონგრესი“.

ჩვენ უკვე დაინფორმირებული ვართ - კული მოქმედება

ვსწავლობთ, როგორ და ვისი დახმარებით შეძლეს ბანკებმა მოსახლეობის უმძიმეს მდგომარეობაში ჩაყენება. ვსწავლობთ, რა ხდება საშუალო ფირმებში. მივიღებთ რჩევას და ვინცებთ ფიქრსა და მოქმედებას, რომ მოვახდინოთ ქვეყნის ინვესტირება. აქვე მოკლედ ვიტყვი: კატასტროფულია პირველი ანალიზები! როგორც ჩანს, ქვეყანაში საბანკო დიქტატის დამყარება სერიოზული ძალების პროექტი იყო და დღესაც არის. მათთან კავშირშია საშუალო ფირმების საქმიანობაც, ვინც გაანადგურა მწარმოებელი და მომხმარებელი.

„ფოთის დარბაზი“ არჩევნებამდე გვთხოვს შევრებას ფოთში იმ პრობლემების გასაანალიზებლად, რაც წლების განმავლობაში შეგნებულად იქმნებოდა მავანთა გამდიდრებისა და ფოთის უმძიმეს მდგომარეობაში ჩასაყენებლად. ასეთივე პოზიცია აქვს საზოგადოება „ზესტაფონელის დარბაზს“ და გორის „საზოგადოებრივ დარბაზს“.

ჩვენ ვაპირებთ მუშაობას: აჭარაში, სამხარეთლოს, იმერეთისა და შიდა ქართლის რეგიონებში

უახლოეს პერიოდში გვეგმავთ დიდ შეხვედრებს:

- ქახეთის, გურიის, მესხეთ-ჯავახეთის ქალაქებსა და რეგიონებს;
- რუსთაველი,
- ჭიჭიჭი,
- ბოლნისში.

მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფი მიმართავს საქართველოს ყველა რეგიონის, ქალაქისა და რეგიონის, სოფლის მოსახლეობას

„ამ ქვეყნის ბატონ-პატრონი ხალხია და არა ხელისუფლება!“

მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის მიერ დაწყებულ და მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მიერ მხარდაჭერილ ამ პროცესს უკვე ვეღარავინ შეუშლის ხელს. შეეცდებიან კი და უპირველესად ისინი, ვისაც არ აწყობს ქვეყანაში ძლიერი საშუალო ფენის შექმნა, მაგრამ აწყობს დღევანდელი მდგომარეობა, როცა მოსახლეობის 90 პროცენტი არის მილიონერი და მოსახლეობის 90 პროცენტი ცუდად, ან შიმშილის ზღვარზე ცხოვრობს. მდიდრები ადვილად ყიდულობენ ღარიბებს და ამყარებენ ბატონყმური ცხოვრების წესებს. დემოკრატია არის იმ ქვეყანაში, სადაც ძლიერია საშუალო ფენა და ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს საშუალო ფენის რაოდენობრივი ზრდისათვის.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ საოცარი შედეგების მიღწევა შეიძლება, თუ საქართველოში ძლიერს ექნება მხარდაჭერა, გვექნება არა პარტიების, არამედ ნიჭის ძალაუფლება, თუ გვექნება არა პოლიტიკური რადიკალიზაცია, არამედ ინტელექტუალური...

გაპროტესტდით მომავლის საქართველოსთვის!

საღსი და არა სელისუფლება

ჩვენ ერთად უნდა ვეძებოთ ძლიერი ადამიანები და უნდა შევექმნათ მართვის ისეთი სისტემა, რომელიც კი არ ებრძვის ძლიერს, არამედ ეძებს მას. ჩვენ ასე შევექმნით 21-ე საუკუნის დიდგორის ლაშქარს, რომელიც იქნება ერთ მუშტად შეკრული სიკეთე, სიძულვილის სიყვარულით დასამარცხებლად.

ჩვენ ყოველ პარასკევს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკით“ და ყოველ ხუთშაბათს, 17 საათზე და ყოველ ორშაბათს, 20 საათზე, ტელევიზია „ქართული TV“-ს პირდაპირი ეთერით ამ რთულ პრობლემებზე ვისაუბრებთ.

ეს ჯგუფი ღვს იპრიება

ჩვენ უაღრესად საიმედოდ გვესახება დამოუკიდებელი საქართველოს პირველი საკანონმდებლო ორგანოს — უზენაესი საბჭოს ერთი ჯგუფის გადაწყვეტილება, შევიკრიბოთ და გავანალიზოთ მდგომარეობა.

- ნუთუ, ჩვენ ასეთი საქართველოსთვის ვიბრძოდით?
- რატომ დაიწყო პოლიტიკური თამაში პირველი პარლამენტის ბევრმა წევრმა;
- რატომ მიატოვა დასავლეთმა და ამერიკამ ეროვნული ძალები ქვეყანაში. რა მოხდა. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში უდიდესი მხარდაჭერა ჰქონდა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, პრაქტიკულად, ომი სწორედ ეროვნულ ძალებს გამოუცხადეს.

ეს და ბევრი სხვა საკითხია, რომელთა ანალიზი მომავლის საქართველოსათვის საჭიროა, სწორედ ამიტომ შეიქმნა ამ შეხვედრების საორგანიზაციო-საინიციატივო ჯგუფი ბატონების: თამაზ ყურაშვილის, ტარიელ ფუტყარაძის, თემურ შაშიაშვილის, ნუგზარ შავთვალიძის, ირაკლი არაბულის, იური ბურკაძის, ალექსანდრე ვარძელაშვილის, დავით კუპატაძის, ნუგზარ მზა-

რელუას, ნუგზარ პარუნაშვილის, ნუგზარ მაგლობლიშვილის, ნიაზ ბოლქვაძის, გელა გოგოლაძის, ანზორ საკანდელიძის, ლადო რამიშვილის შემადგენლობით.

ეს ერთად უნდა გავაკეთოთ!

სწორედ თქვენი, მოსახლეობის მხარდაჭერითა და დახმარებით

დრომ დაადასტურა, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ყველა პარლამენტში იყვნენ ღირსებით სავსე ადამიანები, რომელთა უმრავლესობა განერიდა პოლიტიკას სწორედ იმის გამო, რომ პარტიებში ზნეობის სერიოზული დეფიციტი გაჩნდა. ჩვენ, თქვენთან ერთად, ხალხთან ერთად გვინდა გავანალიზოთ დამოუკიდებელი საქართველოს ყველა პარლამენტის შემადგენლობა. ვეძებთ მომავლისათვის საჭირო ადამიანებს. არ იქნება ცუდი, თუ დამოუკიდებელი საქართველოს ყველა პარლამენტის ხუთ-ხუთი წევრისაგან შეიქმნება ასამბლეა, რომელიც მიზნად დაისახავს, დაეხმაროს ეროვნული განწყობის და ჯანსაღი პოლიტიკური პროცესის გაძლიერებას ქვეყანაში. სასურველია, რომელიმე ტელევიზიით (კარგი იქნება თუ მეორე არსზე) რეგულარულად გადაიცეს ასამბლეის სხდომები. ეს ჩვენ მომავალში თაობათა ერთიანობისთვისაც და პოლიტიკური მემკვიდრეობითობის ტრადიციის დამკვიდრებისთვისაც დაგჭირდება.

მოგაპლისთვის

მადლიერება, იმედი, პასუხისმგებლობა - თაობათა ერთიანობა

საინიციატივო ჯგუფის შეხვედრამ ქალაქებსა და რაიონებში და საუბრებმა, რომელიც გვექონდა გა-

მოჩენილ მოღვაწეებთან, სახელმწიფო კაცებთან: მერაბ ბერძენიშვილთან, თამაზ გამყრელიძესთან, ვაჟა აზარაშვილთან, ავთანდილ საყვარელიძესთან, არნოლდ გეგჭკორთან, გივი თოიძესთან, გიგა ბათიაშვილთან, ანზორ ერქომაიშვილთან, გურამ თევზაძესთან და სულ რამდენიმე დღის წინ მსცოვან მეცნიერთან, პროფესორ ლევან სვანაძესთან, დაგვარწმუნა, რომ სახელმწიფო დონეზე უნდა შეიქმნას მრჩეველთა საბჭო. არ უნდა დაიკარგოს ის დიდი გამოცდილება, რომელიც საქართველოში აქვს არაერთ ადამიანს და ეს პრაქტიკულად, „მადლიერების ინსტიტუტის“ შექმნის ტოლფასიც იქნება. ასეთი ინსტიტუტის შექმნაზე იქადაგა რამდენიმე წლის წინ კვიპროსიდან დაბრუნებულმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა და მაგალითად მოიყვანა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის და მათ შორის კვიპროსის გამოცდილება.

ახალგაზრდობასთან, სტუდენტობასთან შეხვედრებმა და საუბრებმა დაგვარწმუნა, რომ ქართული განწყობის დიდი ახალგაზრდული მოძრაობაა შესაქმნელი. რეალობა მწარეა, უცხოური ფულით გვართმევენ დიდ ეროვნულ სიმდიდრეს — ახალგაზრდობას.

ჩვენ სერიოზულად ვფიქრობთ ამ საკითხზე. დღეს ერთი რამის თქმა შეგვიძლია: იმ ფულს, რომელიც ქართველი ახალგაზრდების შეფარულად და სათავისოდ მოთვინიერებას ხმარდება, შეიძლება, გაუმჯობავდეს მხოლოდ დიდი ქართული ერთობა და ძლიერი ოჯახი.

ასე იყო ოდითგან. ჩვენმა წინაპრებმა შეძლეს ქართული სულის გადარჩენა. ქართველში ქართველის გადარჩენა, აფხაზში აფხაზის გადარჩენა, ოსში ოსის გადარჩენა, საქართველოში საქართველოს გადარჩენა და ამ ტრადიციას არ ეღალატები! მომავალი აქვს მხოლოდ იმ ქვეყანას, სადაც ახალგაზრდობას აქვს წინაპრისადმი პატივისცემა და პასუხისმგებლობა წარსულისადმი და სადაც უფროს თაობას აქვს იმედი, მომავალი თაობის და ცივილიზებული პასუხისმგებლობა მათი მომავლისადმი.

ქვეყანას მართავს ხელისუფლება, ხელისუფლებას მართავს საზოგადოება, საზოგადოებას მართავს ინტელექტი და ზნეობა

საქართველო სავსეა ზნეობრივი ადამიანებით, საქართველოს უდიდესი პოეტინციალის ადამიანები ჰყავს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფმა მოსახლეობასთან, საზოგადო მოღვაწეებთან, მეცნიერებთან დათათბირებით დაიწყო იმ ადამიანთა სიების გამოქვეყნება, ვის მიმართაც საზოგადოებაში ძირითადად, კარგი განწყობაა. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკასთან“ შეთანხმებით, ყოველ პარასკევს ქვეყნდება ასეთ ადამიანთა სიები. 12, 19, 26 აგვისტოსა და 2 სექტემბრის ნომრებში გამოქვეყნებულმა მასალებმა დიდი გამოხმაურება გამოიწვია.

დღეს ჩვენ წარმოგიდგენთ მხოლოდ გვარებს, ვისზეც შეძლებისდაგვარად ვრცლად ვისაუბრებთ წინა ნომრებში და ვისზეც ვისაუბრებთ 16 სექტემბრის „საქართველოს რესპუბლიკაში“:

მინდია უბრაზელიძე, ლადო შანტურიძე, ლია მუსხაშვილი, თედო ნინიძე, სოსო ბარათაშვილი, გიგა მეფარიშვილი, გელა ნიკოლეიშვილი, ზატონიშვილი ძეთივან ბაბრატიონი-ორსინი, დავით ნიკიპიძე, პეტრე ჩხეიძე, ირაკლი მინაბრაშვილი, ავთანდილ სილაბაძე, ვლადიმერ პაპაშვილი, მირაზ კაკულია, მიხეილ ჯივუტი, დავით იაკოვიძე, ელგუჯა მიქვავიშვილი, ზურაბ რევიშვილი, ირაკლი მანაბაძე, ირაკლი კოჭანაძე, რამაზ ბახოვიძე, ავთანდილ კორახაშვი-

ლი, თენგიზ ყურაშვილი, ცოტნე სამადაშვილი, ზვიად ზოგოშვილი, ანატოლი ბიორბაძე, ბიორბი ბაგოშიძე, კახა ყურაშვილი, რამაზ ასათიანი, ნუგზარ გალათურია, ალექსანდრე დიდაშვილი, არჩილ ვაშაკიძე, რამაზ ჩაბაშვილი, რამაზ ჯაბანიძე, პაატა კოლუაშვილი, თენგიზ ურუშაძე, ელგუჯა შავაშიძე, ომარ ძეგლაშვილი, ჯეგალ გუგუშვილი, ენვირ ნიჟარაძე, ვალერი ასათიანი, ვახტანგ შუთათელაძე, ავთელად ართიშვილი, შოთა ვაშაკიძე, მანუჩარ კაჭხიძე, ნიკოლოზ ჩხეიძე, დიმიტრი ტვილიანი, დავით მორჩილაძე, ასლან აბაშიძე (იურისტი, პროფესორი), მინდია სურგულაძე, ბიორბი სი-

ბუა, ქართლოს კოჭავაძე, ნანა იოსელიანი, გურამ გიგაშვილი, დიმიტრი კოჭალიანი, ალექსანდრე ოჩიბაძე; პარმენ მარგველაშვილი, ავთანდილ მიშაბერიძე, დავით სახვაძე, ამირან აფციაშვილი, თემურ ზარაძე, ლევა ზამთარაძე, ზურაბ ნოწონავა, ზურაბ ქანსაშვილი, მიხეილ ანდელუაძე, ნიაზ ბოლქვაძე, გიგა მანისაშვილი, სერგო ვარდოსანიძე, გივი ჯაგოშვილი, თემურ მიშაბერიძე, ვასილ მთხვინიძე, ვალერი გორგოძე, თემურ კაკოჩაშვილი, პაატა ჩხეიძე, ბიორბი სოსიაშვილი, ვალერი სუსიშვილი, თამაზ მაყაშვილი, ზაზა ედიშერაშვილი, ნუგზარ მამაშვილიანი, მარინა ტაბატაძე, ვასილ რუხაძე.

„საქართველოს რესპუბლიკის“ 16 სექტემბრის ნომრში გვეყვება იმედიანი საუბარი იმედიან პიროვნებებზე

რუსუდან ბოლქვაძე, თემურაზ გვანცელაძე, ლევან გინეიშვილი, მალხაზ დათუკიშვილი, იზა ვეფხვაძე, ირაკლი თოდუა, მერაბ კეზევაძე, კობა კობალაძე, დიმიტრი ნადირაშვილი, ნანა სარიშვილი, მანანა ტაბიძე, ოთარ ფაღლიანი, გიორგი ფარესიშვილი, ნინო ფორაქიშვილი, ტარიელ ფუტყარაძე, ბონდო ქურდაძე, დავით ყალიჩაშვილი, ირაკლი ჩხეიძე, შოთა ჩხეიძე, შალვა ხეცურიაშვილი, ნიკოლოზ ჯავახიშვილი.

მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის პოზიცია პარლამენტთან დაკავშირებით მყარია: პარლამენტში უნდა იყვნენ მხოლოდ (ძირითადად მაინც) პოლიტიკოსები. პოლიტიკოსი შეიძლება იყოს ნებისმიერი პროფესიის ადამიანი, მაგრამ მას ხალხი უნდა იცნობდეს და აღიარებდეს, როგორც პოლიტიკოსს.

ეს პრინციპი ყველაზე მეტად საქართველოშია დარღვეული.

პოლიტიკური პარტიები და, განსაკუთრებით, პარტიათა ხელმძღვანელები, ცდილობენ გააპარლამენტურონ დიდი მოღვაწეები, მეცნიერები, ცნობილი სპორტსმენები, კულტურის, ხელოვნების, მედიცინის წარმომადგენლები ან ბიზნესმენები, ანუ ის ხალხი, ვისაც პოლიტიკოსთან არაფერი აქვთ საერთო, არც არასდროს არ ჰქონიათ ამის სურვილი, რომელთაც, კაცმა რომ თქვას, თავადაც არაფერში სჭირდებათ ეს პარლამენტარობა.

არიან ადამიანები, ვისთანაც უნდა ამაყოფივდეს მთელი ქვეყანა და არავის აზრადაც არ მოსდით მათი გაპოლიტიკოსობა და გაპარლამენტარება. მაგრამ პოლიტიკური ლიდერი ისეთ საარჩევნო სიას უნდა ადგენდეს და ისეთი პარლამენტისათვის უნდა იბრძოდეს, რომელმაც იცის ამ ხალხის ფასი, ვინც იცის საქართველოში შედარების ფასი, ვინც იცის საქართველოში

ექიმის ფასი, მეცნიერის ფასი, ვინც იცის გლეხის, მუშის ფასი.

და კიდევ ერთი და მნიშვნელოვანი: ბიზნესმენი კი არ უნდა გინდოდეს პარლამენტში, ეს ქვეყნის დაქვეყნის მარვენივლია. ჩვენ სერიოზულად უნდა გვაფიქრებდეს ბიზნესმენთა დღევანდელი ლტოლვა პარლამენტისაკენ. ეს არის დასტური იმისა, რომ მართვის სისტემა ავადმყოფი, რომელიც ბიზნესმენს აიძულებს შევიდეს პარლამენტში, რადგან გადარჩენის სხვა გზას ვერ პოულობს ან აღარ დაეფიქრებია.

ისეთი პარლამენტი უნდა გინდოდეს, რომელმაც იცის ბიზნესის და ბიზნესმენის ფასი და ქვეყანაში მართვის ისეთი სისტემა უნდა იყოს, რომ ბიზნესმენი პარლამენტარობაზე არ ფიქრობდეს.

ასეთი საქართველო გვინდა! ასეთი პარლამენტი და ასეთი ხელისუფლება!

გაპარტიანდეთ მოგაპლის საქართველოსთვის!

არ იქნება სამართლიანობა, არ იქნება ექვილიბრიუმი

კერძო საკუთრება ხელუფალთა და მისი ხელყოფა არაპირდაპირი ეხიბვა

მოსახლეობასთან მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის ყოველი შეხვედრის დროს, მთავარი თემა სამართლიანობა. ხალხი არა მარტო წართმეულის დაბრუნების აუცილებლობაზე საუბრობს, არამედ და უპირველესად, უსამართლობას გაუსაძლის საარსებო პირობებში ხედავს, იმ ფონზე, თუ როგორ ცხოვრობენ ყოფილი და დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები, მაღალჩინოსნები. ხალხს მიაჩნია, რომ ფულიანთა თავხედობამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. ხალხი ელის რეალურ სამართლიანობას. დაპირებების ნამდვილად აღარ სჯერა.

მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფში მივიღეთ ბატონ ვასილ პატარქალიშვილის უაღრესად საინტერესო წინადადება ტელეპროექტის თაობაზე. ბატონმა ვასილმა წლების წინათ, აშშ-ის დღევანდელი პრეზიდენტის კანდიდატის, ქალბატონ ჰილარის კლინტონის მძებრებთან ერთად, ძალზე დიდი ინვესტიცია განახორციელა სამეგრელოსა და აჭარაში სოფლის მეურნეობის ხაზით. წინა ხელისუფლების ბიზნესში წილების განაწილების პოლიტიკამ დაასამარა ეს დიდი საქმე, უფრო მეტიც, უკვე განხორციელებულიც კი წაართვა. ეს საქმე დღესაც უსასრულოდ გრძელდება.

ბატონმა ვასილმა, მის დასთან, ქალბატონ ნათელა პატარქალიშვილთან ერთად, შექმნა არასამთავრობო ორგანიზაცია, შეიმუშავა ტელეპროექტი, რომლის კონცეფციასაც ვაქვეყნებთ, რამეთუ მიგვაჩნია, რომ სამართლიანობის დადგენა უპირველესი და უმთავრესი უნდა გახდეს, თუ ვფიქრობთ მომავლის საქართველოს.

რომელშიც იგულისხმება ნეოფაშისტური იდეოლოგიის მქონე ნაციონალური მოძრაობის ცხრანაწიანი მმართველობა, ქვეყანაში განსაკუთრებული სიმწვავეით დააყენა სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნა. სამწუხაროდ, დღევანდელი ხელისუფლების მიერ სამართლიანობის აღდგენა გაგებული იქნა, როგორც მხოლოდ მათემატიკური ზარალის ანაზღაურება და ისიც მხოლოდ ყველაზე მდიდართათვის.

ჯერჯერობით, ნაწილობრივ ან სრულადაა იგნორირებული საზოგადოების მოთხოვნა სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების, თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის თაობაზე.

● ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ განვლილი ორი წლის განმავლობაში ამ პროგრამის პრობლემატიკის აქტუალური იქნა და სიმწვავემ, არაბო მხოლოდ, არამედ, ვფიქრობთ, რომ მნიშვნელოვნად იმატა კიდევ.

● 2012 წლიდან მოყოლებული დღემდე, ემოქალაქურ მოვლენად იქცა ხელისუფლებაში მისული ბიძინა ივანიშვილისა და მისი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული ახალი ხელისუფლების მიერ წინა დანაშაულებრივი განკარგულებების ამსრულებელი ჯალათების სისტემის მსხვერპლად გამოცხადება-მონათვლა და მათთვის ყველა დანაშაულის პატიება და უპირობოდ „ჩამონერა“, რასაც რატომღაც კოპაბიტაციასა და „ნაციონალურ მოძრაობასთან“ მშვიდობიან თანაცხოვრების პოლიტიკა დაერქვა.

● ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის 1985 წლის 29 ნოემბრის №40/34 რეზოლუციით მიღებულია, ხელისუფლების დანაშაულებათა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპია დელეგაციას.

● ფაქტია, რომ საქართველოს სა-

ხელმწიფო -პოლიტიკურ პირთა მიერ მათი ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, აგრეთვე საქართველოს ხელისუფლების როგორც მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად, ასევე დანაშაულებრივი უმოქმედობის შედეგად, ათასობით საქართველოს მოქალაქეს და მათი ოჯახის წევრებს მიყენებული აქვთ მატერიალური, ეკონომიკური და მორალური ზიანი, სულიერი ტანჯვისა და ემოციური სტრესის ჩათვლით, რასაც მოჰყვა მათი ფუნდამენტური უფლებების არსებითი შეზღავანა.

● 2013 წლის 25 სექტემბერს, ქს-პარტიამ შეხვედრაზე ქვეყნის მმართველთა პრაიმერ-მინისტრმა დაბასხაელმა, რომ წინა ხელისუფლებაში იმყოფებოდნენ „ჩვენთვის“ პირის წარმოქმნის მქონე ბიძინა ივანიშვილის თქმით, შინაგანაფრთხილი 6 (მძმ) მილიარდ ლარს.

● პრაქტიკულად, უკვე დია ტექსტიტ აცხადებს, რომ არ აპირებს სახელმწიფოს თანამდებობის პირების მიერ დანაშაულებული პირთათვის წართმეული ან განადგურებული ქონების რესტრუქტურაცია და დანაკარგების ანაზღაურების პროცესის განხილვასაც კი, რომლის ვალდებულებაც, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის თანახმად, ცალსახად ეკისრება სახელმწიფოს;

● საქართველოსა და მის ეკონომიკას მანამდე არაფერი ეშველება, სანამ საზოგადოებაში გამჭვრელი იქნება არნაზი, რომ ხელისუფლებასა და მის მონაწილეს შუამდობა ადამიანს ყველაფერი წაართვას, დაუნეროს, გაუნადგუროს და ამისათვის, არც სახელმწიფოსა და არც მის ან მისივე არაფერი მოუგას;

● საქართველოსა და მის ხალხს მანამდე არაფერი ეშველება, სანამ ხელი-

სუფლება და ხალხი არ გაითავისებს, რომ კერძო საკუთრება, ხელშეუვალია და მისი ხელყოფა არ ევალიება და არ შერჩება;

● საქართველოს სახელმწიფოსა და მის ეკონომიკას მანამდე არაფერი ეშველება, სანამ ერთნელ და სამუდამოდ ქვეყანაში არ დამკვიდრდება და დაისადგურებს ის სულისკვეთება, რომ კერძო საკუთრება არის კონვერტუბელ ქონებაზე მოქალაქისა და იურიდიული პირის კანონით დაცული აბსოლუტური უფლება;

● ქვეყნის ეკონომიკასა და ბიზნესს მანამდე არაფერი ეშველება, სანამ საზოგადოების თითოეული წევრი არ გაითავისებს, რომ კერძო საკუთრება განუკუთვნება: ინდივიდუალური, კორპორაციული, კოოპერატიული აქციონერული, ინტელექტუალური, საავტორო და საკუთრების ნებისმიერი სხვა არასახელმწიფოებრივი ფორმა.

● აბსოლუტურად ვეთანხმებით „ქართული ერთობის დარბაზის“ აღმასრულებელი საბჭოს მიერ საჯარო განხილვისათვის წარმოდგენილ ტელევიზია „ქართულის“ განვითარების კონცეფციაში ჩამოყალიბებულ იმ ფუნდამენტურ მოსაზრებას, რომ მთლიანად ტელევიზიისა და მათ შორის თქვენი შემოთავაზებული ამ სატელევიზიო პროგრამების ციკლის ურყევი პოზიცია არის და უნდა იყოს არა კონფრონტაციული და ზიზლით განმსჭვალული, არა ერთმანეთის ლანძღვა-გინებასა და ურთიერთდაპირისპირებაზე აგებული სიუჟეტებისა და პროგრამების მომზადება, არამედ პრინციპული და კონსტრუქციული დიალოგის ატმოსფეროს შექმნა და გადაცემაში წამოჭრილი უაღრესად მწვავე პრობლემების, კომპეტენტური სპეციალისტებისა და დამოუკიდებელ ექსპერტთა სამუშაო ჯგუფების მიერ მიღებული მიუკერძოებელი დასკვნების, შემუშავებული წინადადებებისა და რეკომენდაციების საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების სათანადო ინსტიტუტების წინაშე დაყენება და ამ მოთხოვნებზე ხელისუფლების ორგანოების რეაგირებაზე საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელების ორგანიზება.

მთავრობა რამდენიმე ამონაჩივს ამ მეზარსა და რკოვი პროგრამიდან

საქართველოში დამკვიდრებულმა თითქმის ოცნსიანმა უსამართლობამ,

ხალხი იწონებს ქართული TV-ის პოზიციას



არ ვიცით, რას ნიშნავს სახელმწიფო ტელევიზია. ჩვენ არ ვიცით, რას ნიშნავს თვითმცოდნე ტელევიზია. ჩვენ ვიცით მხოლოდ მართალი ტელევიზია!



ჩვენი ჩაქვიზიზიზი:
 თბილისი 0179, ლაშაშვილის ქ. №4
 ტელ. (032)2 443446; 599 03 21 66;
 599 37 83 41
 ელ.ფოსტა: kartulitv@gmail.com
 ვებგვერდი: www.qedi.tv.com.ge
 ფეისბუქის გვერდი: საინიციატივო ჯგუფი „ერთნელი თანხმობის პარლამენტის“ ფორმირებისთვის

ქართული, მხოლოდ ქართული

ძალიან მომწონს ეს სლოგანი და ისიც, რომ ყოველ პარასკევს, ამ აკადემიურ და ობიექტურ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ამ სლოგანით ქვეყნდება მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის მოსაზრებები ქვეყნის განვითარებასთან და მომავალთან დაკავშირებით...

გაზაფხულის მზიანი დღე იყო და რუსთაველზე გასერილება გადავწყვიტეთ. შოთა რუსთაველის ძეგლთან ერთ-ერთი ტელევიზიის კამერები შევნიშნეთ (ამ ტელეარხს შეგნებულად არ ვასახელებ) და ჩემკენ წამოსული ჟურნალისტი დავინახე, რომელმაც მკითხა: რა აზრის ხართ ჩვენს ტელევიზიაზეო. დარწმუნებული იყო, რომ ამ პოპულარულ ტელევიზიას ქება-დიდებათ შევამკობდი, მაგრამ ჩემმა პასუხმა ჯერ გააოგნა, შემდეგ კი ჩაეცინა. აი, როგორ ვუპასუხე დასმულ შეკითხვას: „მე დილით ადრე ვდგები და როგორც კი რომელიმე ტელეარხს ჩავრთავ, პირველივე ფრაზების გაგონება მწუსებს - დედამ შვილი მოკლა, მეზობელმა ახლო მეზობელი გაქურდა, ბიძამ მცირეწლოვანი ძმისშვილი გააუპატიურა... და ეს ყველაფერი, რომ ჩემს ოჯახსა და ახლობლებს, საბედნიეროდ, არ ეხება, უკვე კარგ ხასიათზე მაცხერებს, თუმცა ტელეარხების ასეთი მაუნყებლობა და უარყოფითი ემოციები, თრგუნავს ჩვენს ისედაც გაუბედურებულ მოსახლეობას.

ამიტომ ჩემთვის სრულიად მოულოდნელი და მეტად სასიამოვნო იყო, როდესაც გაზეთში წავიკითხე, რომ არსებობს ტელეარხი „ქართული TV“ და დამინტერესდა ამ არხის გადაცემებმა. უნდა ვაღიარო, რომ ლანის პირველად ვუყურე ყველა გადაცემას ფეხმოუცვლელად. რამ

მომხიბლა? რამ და იმან, რომ ქვეყნისთვის საჭირობო როტო საკითხებზე საუბრობენ, არავის ეშუქებიან და არავის ლანძღავენ. ბევრი საინტერესო ახალი ამბავიც შევიტყვე. საყურადღებოა, რომ სიმრედე ამ არხზე ყოველ ორშაბათსა და ხუთშაბათს, საღამოს პირდაპირ ეთერში გამოდიან მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლები, ისინი, ვისაც აწუხებს ჩვენი ქვეყნის აწმყო და მომავალი, ვინც ფიქრობს ქვეყნის პოლიტიკური ვითარების გაუმჯობესებაზე და ვისიც ხალხმა უნდა დაიჯეროს.

ასევე მოვიხიბლე ახალგაზრდების მიერ მომზადებული გადაცემებით. ბევრი ტელევიზია და პრესა ახალგაზრდებს გაუთავებლად ლანძღავს, მაგრამ „ქართული TV“-ს ახალგაზრდულმა გადაცემებმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ჩვენს საქართველოს გადაგვარება-გადაშენება არ უნერია, სანამ ასეთი ღირსეული ახალგაზრდა თაობა ჰყავს.

მე ბევრ მოღვაწესა და პოლიტიკოსთან მქონდა ამ ტელევიზიასთან დაკავშირებით საუბარი და მოვიყვანე ერთ-ერთი მათგანის, მომავალი პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატის, ქალბატონ სალომე ზურაბიშვილის სიტყვებს, რომელიც მან მოსახლეობასთან შეხვედრაზე ტელეკამერების წინ განაცხადა: „განსაკუთრებით მომწონს ტელევიზია „ქართული TV“ რომელიც სხვებისგან განსხვავებით ლანძღვა-გინებით არ არის გაართული და ყოველთვის ცდილობს, ობიექტურად შეაფასოს მოვლენები.“

იმავე საღამოს, ამ ტელეარხზე გავიდა დოკუმენტური

ფილმი „სკვირი“, რომელიც ჩვენმა კინოსტუდიამ გადაიღო. სამწუხაროდ, ფილმის დასრულებამდე, მოულოდნელად სხვა გადაცემა დაიწყო. ასევე მოხდა ორშაბათსაც, როდესაც პირდაპირ ეთერში მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის გადაცემა უნდა გასულიყო და არ გავიდა.

სხვათაშორის, როგორც შემდგომ გავიგე, ენ. ტელევიზიის ბაღე (პროგრამების გასვლის ზუსტი დრო) სშირად ირღვევა, რითაც თავად ამ ტელევიზიის თანამშრომლები გაოგნებული არიან. მათ არ იციან და მითუმეტეს, არც მე ვიცი, ასე რატომ ხდება, მაგრამ ვფიქრობ, რომ ბევრს არ აწყობს ასეთი ღირსეული, ობიექტური ტელევიზიის გამოჩენა და მას პრობლემებს განზრახ უქმნიან.

ვიმედოვნებ, რომ ასეთი ხალხი დიდხანს ვერ იბოგინებს და ჩვენს ტელევიზორცემი და არა მარტო ჩვენსა, მათ, ჭეშმარიტად ქართული ტელეარხი, „ქართული TV“ ღირსეულ ადგილს დაიკავებს.

ყოველი ჩვენგანის ვალია, გვერდით დავედგეთ ამ ტელევიზიას, რომელიც შექმნა და შემდგომ საჩუქრად გადასცემს მთელ საქართველოს „ჯარისკაცის მამამ“, რეზო ჩხეიძემ. საამაყოა, რომ ამ ტელევიზიის შექმნასთან დაკავშირებული არიან ისეთი ღირსეული მამულიშვილები, როგორებიც არიან: მერაბ ბერძენიშვილი, ანზორ ურქომაიშვილი, გიგა ბათიაშვილი, ტარიელ ხარხელია-ერი, გივი თოიძე, რომან რურუა, ომარ მხეიძე, თემურ გუგუშვილი, არნოლდ გეგეჭკორი და ბევრი სხვა ღირსეული მოღვაწე.

ასე რომ, უყურეთ „ქართული TV“-ს, არ ინანებთ.
ნონა ლაბაშიძე,
 საქართველოს დოკუმენტური ფილმების კინოსტუდია „მეგამიანის“ მთავარი რედაქტორი

კვალი დროში

აპროსაინჟინრო დარბის
გამორჩეული მესწიერი

ინატი მთავორიანი ქვეყნისთვის, როგორც საქართველო, სამთო მინათმოქმედებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება და, ალბათ, ამიტომაც არის, რომ სასოფლო-სამეურნეო სფეროში მოღვაწე ჩვენი მეცნიერები ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდნენ სამთო მინათმოქმედების მექანიზაციის პრობლემებს და ამ სფეროში მნიშვნელოვან წარმატებებსაც აღწევდნენ. მათ შორის, ვინც გასული საუკუნის 40-იან წლებში საფუძვლიანი ჩაუყარა სამთო პირობებში სასოფლო-სამეურნეო აგრეგატების გამოყენების მეცნიერულ კვლევა-ძიებას, იყვნენ გამოჩენილი მეცნიერები: ვ. მახალაძე, ი. ციციშვილი, რ. დვალი, შ. კერესელიძე, გ. ხანთაძე, ი. სოსლოვი. მოგვიანებით ამ ცნობილ მოღვაწეებს მხარში ამოუდგნენ და ღირსეულად გააგრძელეს მათ მიერ დაწყებული საქმე ქართველმა აგროინჟინერიის დარგის მეცნიერებმა, რომელთა შორის თავისი ნიჭიერებით, მიზანსწრაფულობით, მაძიებელი ბუნებითა და შრომისმოყვარეობით განსაკუთრებით გამოირჩევა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რევაზ მახარობლიძე, რომელმაც თავისი მოღვაწეობის ადრეულ ეტაპზევე შექმნა საკუთარი მეცნიერული სკოლა და სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ახალი მიმართულება და რომელსაც დაბადებიდან 80 და სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის 55 წლისთავი შეუსრულდა.

ქართველი სამეცნიერო საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი აკად. რ. მახარობლიძის სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ. იგი დაიბადა 1936 წლის 22 აგვისტოს ცაგერის რაიონის სოფელ ლაჯანაში. 1954 წელს დაამთავრა ცაგერის რაიონის ორბეთის საშუალო სკოლა, 1959 წელს კი - საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციის ფაკულტეტი ინჟინერ-მექანიკოსის კვალიფიკაციით. 1961-1964 წლებში სწავლობდა საბჭოთა კავშირის არაშავმიწანი დაგვიანი ზონის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ცენტრალურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (ქ. მინსკი, ბელარუსი), რომლის დამთავრების შემდეგ, 1966 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ლიტვის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში (ქ. კაუნასი), ხოლო 1982 წელს კი - სადოქტორო დისერტაცია სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციის განხრით. სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში ასისტენტად (1959-1961 წწ), კათედრის გამგედ (1967-1974 წწ); საბჭოთა კავშირის არაშავმიწანი-დაგვიანი ზონის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-მუშაკად (1974-1976 წწ); საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში განყოფილების გამგედ (1976-1981 წწ), ინსტიტუტის დირექტორად (2000-2006 წწ). საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში (ამჟამად საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი) კათედრის გამგედ (1982-2006 წწ), ხოლო 2007 წლიდან დღემდე ბრძანდება ამავე უნივერსიტეტის სრული პროფესორი და აგრძელებს ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში - არის აკადემიის აკადემიური საბჭოს წევრი და აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი.

სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის პერიოდში გამოქვეყნებული აქვს 350-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, მათ შორის 21 მონოგრაფია და 4 სახელმძღვანელო; ბატონი რევაზი არის 71 გამოგონების და 4 რეკომენდაციის ავტორი. დიდ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეს, საერთოდ კი ახალგაზრდობა ყოველთვის იყო მისი განსაკუთრებული ზრუნვის საგანი და დღესაც ასეთად რჩება. აკადემიკოს რ. მახარობლიძის ხელმძღვანელობით დაცულია 9 სადოქტორო და 42 საკანდიდატო დისერტაცია. მისი მო-



წაფეები დღეს ცნობილი მეცნიერები და პროფესორ-მასწავლებლები არიან და წარმატებით მოღვაწეობენ საქართველოს სამეცნიერო-კვლევით თუ სასწავლო დაწესებულებებში. გარდა ამისა, ბატონი რევაზი თავის სტუდენტებსა თუ ახალგაზრდა მეცნიერებს სულიერებას, მის მიერ აღიარებულ უმთავრეს ადამიანურ ფასეულობებსაც აზიარებდა და აზიარებს დღესაც. ეს ფასეულობებია - განათლება, შრომისმოყვარეობა და პატიოსნება. ამავე ფასეულობებზე აღზარდეს მან და მისმა მეუღლემ, ქალბატონმა ნუნუ მამულიშვილმა საკუთარი შვილებიც, რომლებიც თავისი განსწავლულობით, კეთილშობილებითა და შრომისმოყვარეობით ჩვენი საზოგადოების საუკეთესო ნაწილს ამშვენებენ. ბრძანდება შესანიშნავი მეუღლე, მამა და ბაბუა. აკად. რევაზ მახარობლიძის შრომები მიძღვნილია სასოფლო-სამეურნეო მანქანების დინამიკის, საიმედობის და პარამეტრების ოპტიმიზაციის პრობლემების გადაწყვეტისადმი. მათში იგი ფართოდ იყენებს და ანვითარებს სასოფლო-სამეურნეო მანქანების თავისე-

ბურებების გათვალისწინებით რეოლოგიის, მექანიზმებისა და მანქანების თეორიის, წრფივი და არაწრფივი რხევების, ოპტიმალური პროცესების და სხვა თანამედროვე მეთოდებს. აღნიშნულ შრომებში ბატონმა რევაზმა დაამუშავა სამთო მინათმოქმედების და სუბტროპიკული კულტურების მოვლა-მოყვანის მექანიზაციის ოპტიმალური პარამეტრების ანალიზისა და სინთეზის მეთოდები. ამიტომ არის, რომ მისი შრომები და თეორიები ფართოდ გამოიყენება სამეცნიერო-კვლევით, საკონსტრუქტორო და სასწავლო დაწესებულებებში ახალი მანქანების შექმნის და არსებული კონსტრუქციების გაუმჯობესების დროს, ასევე საინჟინრო და მეცნიერული კადრების მომზადების დროს. აქტიურ მონაწილეობას ღებულობს საქართველოში და საზღვარგარეთის ქვეყნებში გამართულ საერთაშორისო კონგრესებსა და სამეცნიერო კონფერენციებში, სადაც მისი მოხსენებები ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს.

აკად. რ. მახარობლიძის სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა სათანადოდ არის დაფასებული. იგი დაჯილდოებულია „საპატიო გამომგონებლის“ სამეცნიერო ნიშნით“, ღირსების ორდენით. მინიჭებული აქვს 2006 წლის საუკეთესო მეცნიერის წოდება და დაჯილდოებულია მედლით. ბატონი რევაზი საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიის ლაურეატია.

გარდა სამეცნიერო მოღვაწეობისა, ბატონი რევაზი დღესაც პოულობს დროს იმისათვის, რომ იმ გატაცებებსაც არ უღალატოს, ახალგაზრდობიდან რომ მისდევს, კვლავაც ბევრს კითხულობს, მოგზაურობს, უწინდებურად უყვარს პოეზია, მუსიკა, ფერწერა, რაც ალამაზებს მის ცხოვრებას და ესმარება დაძაბული შრომის შემდეგ დასვენებაში და ყოველდღიური პრობლემების დაძლევაში. იგი კვლავ მზად არის დაუღალავად იღვანოს იმ ინტერესების ხორცშესხმისათვის, რასაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მიუძღვნა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გულითადად ულოცავს აკადემიკოს რევაზ მახარობლიძეს ამ ღირსშესანიშნავ თარიღებს, უსურვებს ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ნაყოფიერ შემოქმედებით, სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

გილოცვა

დღევანდელი იუბილარი ბადრი ბარკალაია ამ ოცდათხუთმეტი წლის წინათ მაშინდელ ცხაკაის რაიონში გავიციანი, როდესაც მე სამეგრელოსა და ზემო სვანეთის რაიონებში ვმუშაობდი გაზეთ „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტად, ის კი რაიონის მომსახურების მნიშვნელოვან სფეროს ხელმძღვანელობდა.

მას შემდეგ, როგორც იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა. ერთხელაც, სრულად შემთხვევით, თბილისში, იმდროინდელ პეროვსკაის ქუჩაზე შევხვდით ერთმანეთს. თურმე ლამის გვერდიგვერდ გვექონია ბინები, ოღონდ იმას საკუთარი, მე კი „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციისთვის დაქირავებული, ახალმოდურად ოფისად რომ მოიხსენიებს ყველა...

ბადრიმ გასული საუკუნის 60-იანი წლების მიწურულს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. მუშაობდა მშობლიურ რაიონში კომკავშირულ, პარტიულ და მომსახურების სფეროს ხელმძღვანელ თანამდებობებზე, სანაშენ მეფრინველე-


სამოცდაათი სიჭარბის ხანა იქნა...

ობის ფაბრიკის დირექტორად, ბოლოს კი - საინჟინრო ჟამან-იტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტის სენაკის ფილიალის პრორექტორად, სადაც ნაყოფიერი გარჯისთვის დაჯილდოვდა „ღირსების“ ორდენით.

...ხე ნაყოფით იცნობაო, ნათქვამია. ამ მხრივ, გადატანითი მნიშვნელობით, იგი ისეთი ფესვდალოცვილი „მცენარე“ გამოდგა, მისი ორივე „ნაყოფი“ კი - იმგვარად „ხარისხიანი“, კეთილმოსურნის გულს რომ გაახარებს. უფროსი ვაჟი, თემური, 1973 წელს დაიბადა სენაკში. ოქროს მედალზე დაამთავრა სენაკის მეოთხე საშუალო სკოლა, შემდეგ - სამედიცინო უნივერსიტეტი. იყო შსს სამედიცინო გაერთიანების უფროსის მოადგილე, აკადემიკოს გულიკო ჩაფიძის კლინიკის ქირურგი, ქ. თბილისის სამედიცინო გაერთიანების გენერალური დირექტორი. ამჟამად თბილისის სარეაბილიტაციო პოლიკლინიკის მთავარი ექიმი. არის მე-

დიცინის მეცნიერებათა დოქტორი, კითხულობს ლექციებს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში.

ჰყავს მეუღლე, ასევე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი შორენა ნიკლაური და 11



წლის ვაჟი ალექსანდრე. უფროს ძმასავით წარმატებულია მასზე ერთი წლით უმ-

ცროსი გიორგი ბარკალაიაც. მანაც ოქროს მედალზე დაამთავრა სენაკის მეოთხე საშუალო სკოლა, სწავლა განაგრძო ტორონტოს უნივერსიტეტში, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ფაკულტეტი. იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა ნავთობის საერთაშორისო კორპორაციაში, საქართველოს ბანკში, ამჟამად კი „ვითიბი“ ბანკის ვიცე-პრეზიდენტია. არის ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, კითხულობს ლექციებს როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთაც. მისი მეუღლე თეა ნიკოლეიშვილიც ექიმა, ჰყავს ექვსი წლის ანდრია და სამი წლის ნიკოლოზი...

- მაგარი კი ხარ, მაგრამ ხომ იცი, რომ „საგარეო“ და „საშინაო“ ფრონტებზე შენი ასეთი წარმატებები უმთავრესად შენივ ოჯახის ნაღდი დედაბოძის, შენი მეუღლის, ქალბატონი დალის დამსახურებაა-მეთქი, -

გავეხუმრე და გამომცდელად შევხედე.

წინააღმდეგობა არ გაუწევია, - ესეო, დამიდასტურა.

...წერილისთვის რამდენიმე მონაცემი და ფოტო ვთხოვე. არ ჩამანერინა, არ არის საჭირო, ჩემზე რაც იცი, ისიც კმარაო... არც ფოტო მომცა. „სენაკის მატთანადან“ ამოვიღეთ მის დაუკითხავად...

კარგი, ლომო, იყავნ ნება შენი! მეტს არაფერს დავწერ. ერთსღა გეტყვი: სამოცდაათი მოხუცებულობა კი არა, სიჭარბაგეა ოდენ - სიბერემდე ჯერაც შორია!

და ბოლოს ერთი ჩემი ლექსპრომტიც: „სამოცდაათის გამხდარხარ, ლომო! ჭაბუკურად კი გიფეთქავს გული, სიკეთისთვის სულ იბრძვი და მომბ,

თუმც ვერვინ განახა დამარცხებული“ არც არასოდეს გამარჯვებოდეს არაპატიუმოს ურნეს შენზე, არასოდეს არმის ენახო დამარცხებული, ძმარო! რუსლან რუსია

კალათბურთი

ჩვენი სოფლები არ გპოვნია?!

დღეს ჩვენ ბრძოლა წავაგეთ და არა ომიო – განაცხადა მონტენეგროელებთან „ევრობასკეტ – 2017“-ის დრამატული საკვალიფიკაციო შეხვედრის შემდეგ საქართველოს ეროვნული ნაკრების ბერძენმა თავაკაცმა ილიას ზუროსმა.

მართლაც, საკუთარ სარბიელზე – თბილისის სპორტის სასახლეში წაგებული მატჩი ფინალურ რაუნდს მიღმა დარჩენას ჯერჯერობით ნამდვილად არ ნიშნავს, მაგრამ კონტინენტურ ფორუმზე ზედიზედ მეოთხედ თამაშის შანსს რომ საკმაოდ გვიმცირებს, ფაქტია.

მიზეზი ასეთი არცთუ ოპტიმისტური პროგნოზისა ბანალურია – ჯერ ერთი, ხვალიანობაში და 14 სექტემბერს შინ სლოვაკებთან ადვილად სავარაუდო გამარჯვებების შემთხვევაშიც კი ყველაფერი 17 სექტემბერს ბალკანეთში გადაწყდება, სადაც ბოგდან ტანიევიჩის დიდებულ გუნდთან რევანშის აღება, დაგვეთანხმებით, ურთულესი ამოცანა იქნება.

შესარჩევრ რაუნდის ფორმატი წინსვლის პერსპექტივას ორჯერ წაფორმების შემდეგაც შეგვინარჩუნებს, მაგრამ მოვლენათა ასეთი განვითარებაც კი საფიქრალს დაგვიტოვებს, რადგან ყველაფერი ჩვენზე არ იქნება დამოკიდებული და გულისფანცქალით უნდა დაველოდოთ დანარჩენი ჯგუფების ფინიშს – მოგეხსენებათ, გაისად ელიტურ საზოგადოებაში ასპარეზობის უფლებას მხოლოდ ოთხი საუკეთესო მერეადგილოსანი მოიპოვებს.

ახლა კი, მოდით, შევეშვათ ყოფნა-არყოფნის თემატიკაზე საუბარს და შევეცადოთ ვუპასუხოთ კითხვას – სადაა ძაღლის თავი დამარხული?!

საქართველო – მონტენეგრო 74:76 (25:19, 17:21, 12:22, 20:14).

საქართველო: ფაჩულია – 22, დიქსონი – 13, შენგელია – 13, სანიკიძე – 10, ცინცაძე – 6, სანაძე – 6, შერმადინი – 4 ქულა. ითამაშეს აგრეთვე ბურჯანაძემ და ბოისამ.

მონტენეგრო: ვუჩევიჩი – 17, ნიდეშვილი – 12, პოპოვიჩი – 8, დურიშიჩი – 7, დაშიჩი – 7, დუბლიევიჩი – 6, პავლიჩევიჩი – 6, მიხაილოვიჩი – 5, ვრანჩიუში – 3, რადონჩიჩი – 3, ტოდოროვიჩი – 2 ქულა.

ბუნებრივია, სანადელს ის გუნ-

დი ისრულებს, რომელიც უკეთ იყენებს თავის კოზირებს. ამ აქსიომის გათვალისწინებით, „ჯვაროსნებს“ სრული საფუძველი ჰქონდათ მრისხანე მეტოქის დასაჩოქებლად, რადგან თვალსაჩინო უპირატესობას ფლობდნენ ისეთ მნიშვნელოვან სტატისტიკურ მონაცემებში, როგორცაა საშუალო მანძილებიდან ზუსტი ტყორცნები (53%:33%), მოხსნები (48:37) და, რაც სასიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა, ჩვენს მარადიულ აქილევსის ქუსლში – საჯარიმოების შედეგიან შესრულებაში (86,7%:64,3%).

ნესით და რიგით, აღნიშნული კომპონენტებისა და პირთამდე გადავსებული თბილისის სპორტის სასახლის ტრიბუნებზე შეკრებილთა სამაგალითო გულშემატკივრობის ერთობლიობას ჩვენს ქუჩაზე უნდა მოეყვანა შემოდგომა, მაგრამ...

დავინწყით იმით, რომ სტუმრებს უწყინარ სიტუაციებში ბურთის ორჯერ უფრო მეტჯერ დაკარგვით (16:8) მაქსიმალურად გავუიოლოთ წარმატება, რასაც თან დაერთო მწვრთნელთა ტაქტიკურ დუელში მასპინძელთა დამრიგებლის სრული ფიასკო. სხვაგვარად ძნელია შეფასდეს ის ფაქტი, ვერაფრით რომ ვერ განვითარალეთ ექს-იუგოსლავთა სნაიპერები, რომლებიც ტრადიციული იარაღით – სამქულიანებით პერიმეტრიდან უმოწყალოდ გვიბომბავდნენ კალათს – 13:3 (39,4%:15%).

გვინდა თუ არა, ლოგიკურად მივადევით ქართული



კალათბურთის კიდევ ერთ სატიკივარს, რომელიც ისედაც შეზღუდული არჩევანის პირობებში ეგრეთ წოდებული ამბოხებულების (გნებათ – განდგომილების) – ციტიცივილისა და გამყრელიძის შემორიგების უნარობაში გამოიხატება. დაგვეთანხმებით, სასულეციო ნიჭთან ერთად საამისოდ სხვა უნარებითაც უნდა იყო დაჯილდოებული, თუმცა, ამაზე სხვა დროს.

ბარემ, აქვე კიდევ ერთხელ გამოვთქვათ სინანული ტრავმირებული მარკოიშვილის არყოფნის გამო, რომელიც დაცვაში მჭიდრო თამაშითა და ზუსტი შორეული ტყორცნებით მართლაც გამორჩეულია პარტნიორთა შორის და წამალივით გვჭირდებოდა ჩვენი ჯგუფის მთავარ ფავორიტთან პრინციპულ ბრძოლაში, რომელსაც, თავის მხრივ, გამოკვეთილი ლიდერი – პეკოვიჩი აკლდა.

დაბოლოს, ნურც ბერძენ მსაჯს დაუვკარგავთ „დამსახურებას“ მატჩის ბედის გადაწყვეტაში, რომელმაც, როგორც კულუარული ინფორმაციით შევიტყვეთ, თანამემამულეს სამაგიერო გადაუხადა ძველი პირადული ბოლმის გამო და ბატკნებივით გაგვიმეტა. ნეტავ, ჩვენ რატომ უნდა გავწყვეტილიყავით ელადელთა შინაომში?

გია პლატონიშვილი



მაგთიკომი ქართულ საქმეს აკეთავს



„ჩემთვის სურათი მკაფიოა და ფილოსოფიურ დატირთვას არ ემსახურება. მე ისე ვხატავ, როგორც გარე სამყარო მკარნახობს. ვიცი, ჩემს სეანსს მაყურებელი შეუერთდება და როგორც დაამცირებს, ისევე აღიარებს“. – ასე იწყება შესანიშნავი მწერლის, პოეტის, დიდი მხატვრის, თბილისური პარნასის მკვიდრთა საძმოს წევრის მონოლოგი „ბნელეთის ცისკარი“, რომელიც მაგთიკომის მიერ სულ ორიოდე დღის წინათ გამოცემულ შესანიშნავ ალბომს „ჯემალ კუხალაშ-

დღესსწავლი „სულის სარკელიდან გადახტარა კასისა“, ანუ მამლის დაყვილებს მას ეზინოდეს, ვისაც უარყოფა შეუძლია

ვილს“ აქვს წამმდგარებული.

ცოტა მეექვსეა მის უშესანიშნავეს ტილოებზე, გრაფიკაზე, ესკიზებზე ვინმემ თქვას ფილოსოფიურ დატირთას არ ემსახურებაო? ვერც ფილოსოფიის დოქტორი ბატონი დავით ანდრიაძე დაიჯერებს. რომც დაეჯერა, მის მიერ „კუხალასადმი“ მიძღვნილი „შეფრენილი ხედვა“, იგივე ალტერნა(რა)ტიული ალტერნატივებიც არ დაინერებოდა სპეციალურად ამ ულამაზესი ალბომისთვის, რომლის სადარი გამოცემაც მსოფლიოს ნებისმიერ დიდ ხელოვანს მოსჭრიდა თვალს.

არც იმას დავუჯერებ ჩვენს „კუხალას“ – გარე სამყარო მკარნახობსო, მორიდებულად რომ წერს თავის მონოლოგ-ავტობიოგრაფია-ესეში. ვინც მას იცნობს, ვინც მის სულს იცნობს, დამემონებება, რომ ხშირად თავად კარნახობს გარესამყაროს თავის სტილს, ხედვას, სულის ამოქაჩილს, სიყვარულსა და მრწამსს. ეს მისი სულია, რომელიც „კუხალას“ ყალბით ებრძვის ბოროტებას, მოყოლებული თავისი ბავშვობიდან სულ ბრძოლასა და ძიებაშია. გარე სამყარო, ხშირად გაუსაძლისი

და დამანგრეველი, მკაცრი და უგულოდ კი მხოლოდ საბაბს აძლევს ლამანელ-კუხალას ბრძოლას.

ამ საბაბით, სულის კარნახითა და კუხალასეული ფილოსოფიითაა შექმნილი ათასობით ტილო, გრაფიკა, კომპოზიციკა, ფილმებისა თუ სპექტაკლების ესკიზები, ბიბლიური სიბრძნე, მცირე ჩანახატები და უშესანიშნავესი ლექსები, რომლის ორ კრებულადაც გამოცემაც მოასწრო.

აღიარება და სიყვარული არ აკლდა



ელდარ შენგელია და ჯემალ კუხალაშვილი

და არც აკლია საქართველოს მხატვართა კავშირისა და მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრს, გალაკტიონისა და ეროვნული პრემიების ლაურეატს, სამშობლოში ოცდაათზე მეტი პერსონალური გამოფენისა და სამშობლოს გარეთ კიდევ ერთი მაგდენი ჯგუფური გამოფენის მონაწილეს, მხატვარს, რომლის ნამუშევრებიც ევროპის, ამერიკის და ყოფილი საბჭოეთის უდიდეს მუზეუმებშია გამოფენილი და ხელოვნების მოყვარულთა კერძო კოლექციებშია დავანებული.

„არ მინდა, დავიჯერო, რომ ობოლი ვარ, არც ის სახლი მავინყდება, სადაც ტურები ტყის სიღრმიდან ჩემს მამაპაპურ ძველ ოდას რომ უვიოდნენ, საიდანაც დედა საცეცხლურით იგერიებდა მათ ყვითელ ანთებულ თვალებს. მაშინ პატარა ვიყავი, ბუნრიდან გამოვქექავდი გაციებულ ხის ნახშირს და ვხატავდი კარზე, ლუმელზე, კედელზე. არც ცარცსა და ნიორს ვწუნობდი სახატავად. ეს ნამუშევრები იყო ტყით, ტურებით და მამის მონატრებით შთაგონებული“.

ეს იყო ადრეულ ბავშვობაში, გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლების მიწურულს. იქიდან მოყოლებული ხატავს „კუხალა“, ხატავს ახლობლის ოჯახს სამადლოდ შეხიზნული თბილი-

სსონა

ნუგზარ (სუბა) მამალაძე



გარდაიცვალა ნუგზარ (სუბა) მამალაძის ძე მამალაძე, საქართველოს სოფლის მეურნეობის ღვანდამოსილი მუშაკი.

დაიბადა დაბა ჩოხატაურში 1947 წლის 11 ნოემბერს. 1970 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაცია-ელექტრიფიკაციის ფაკულტეტი. წლების მანძილზე მუშაობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის რაიონულ აპარატის სპეციალისტად.

განყოფილების უფროს და მთავარ სპეციალისტად, მმართველად, საქართველოს „საქსოფლტექნიკის“ ცენტრალური აპარატის სპეციალისტად.

ბატონმა ნუგზარმა ხანგრძლივი გზა გაივლო როგორც ქვეყნის საკანონმდებლო, ისე სახელმწიფო სამეურნეო მმართველ ორგანოებში. იგი იყო საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის დეპუტატი გარდაბნის რაიონიდან, სოფლის მეურნეობის მინისტრ-გებლობისა და ეკოლოგიის სამდივნოს წევრი. მას წილად ხვდა ბედნიერება, ხელი მოეწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის აპრილი). 1995-1999 წლებში არჩეული იყო საქართველოს პარლამენტის წევრად და პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ.

ბატონმა ხუტამ ნაყოფიერად იმოღვაწა სახელმწიფო ორგანოებში, 1988-1991 წლებში არჩეული იყო გარდაბნის რაიონის აგროსამრეწველო კომბინატის „გარდაბნის“ გენერალურ დირექტორად. სამინისტროს თანამშრომლებში სარგებლობდა პატივისცემით, კოლეგიალობით და დიდი ავტორიტეტით. 1992-1995 წლებში მუშაობდა გარდაბნის რაიონის გამგებლად, ხოლო 2000-2003 წლებში – საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილედ და შემდეგ – პირველ მოადგილედ. სხვა საქმეებთან ერთად დიდია ბატონი ნუგზარის დამსახურება იაპონიის მთავრობის პროგრამის განხორციელებაში, რომელიც საქართველოსთვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მიწოდებას ითვალისწინებდა.

ძნელია, წარსულში ისაუბრო ისეთ ადამიანზე, როგორც იყო სუბა მამალაძე, ასეთი კოლორიტული პიროვნებები იშვიათად იბადებიან, მაგრამ ღრმა კვალს ტოვებენ არა მარტო ნათესავებსა და მეგობრებში, არამედ მთელ ქართველ საზოგადოებაში.

მსუბუქი იყო ქართული მინა თქვენთვის, ბატონო სუბა!

საპარტეზლოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

სანთელი

ბანუსაზღვრეში ტკივილი, რომელიც მოგვყავსა გამოჩენილი ოჯახი შვილის, მოსიყვარულე მეუღლის, მამისა და ბაბუის, სიკეთით და უღვივე იუმორით სავსე ადამიანის, ჩვენი უსაყვარლესი მეგობრის – ნუგზარ (სუბა) მამალაძის გარდაცვალებამ. დიდია მისი დამსახურება ქვეყნის წინაშე, სადაც მან ათობით წელი იმოღვაწა. ყველა ჩვენგანისთვის დაუფინყარია მისი თბილი იუმორნარევი გამოხედვა, რჩევები, მოკითხვა და დახმარება, ჭირსა და ღმერთს უნაგარო გვერდში დგომა, ღმერთო, გთხოვთ, კიდევ შესძინო ჩვენს ქვეყანას სუტას მსგავსი გამორჩეული მამულიშვილები!

მსუბუქი იყო საქართველოს მინა შენთვის, ჩვენი უსაყვარლესო და დაუფინყარო მეგობარო!

ბაპურ გულუა, მიხეილ მარი, თამაზ კუჭუაძე, თინათინ ჩიკვაძე, ომარ კახარაძე, შოთა კიკილაშვილი, ანდრეას ხატიანი, გურამ დიდაშვილი, ნუგზარ ღუბინი, ზურაბ ჩაქარაშვილი, ვლადიმერ გვარჯალაძე, კოტე სუციაძე, ნოდარ სოსოშვილი, ზურაბ ლიპარტიანი, ნუგზარ სარჯველიანი, ნოდარ მიწათმოქმედის, ივანე მამალაძე, ივანე მამალაძე, თინათინ სვანიძე, იური ოსიპოვი, ნოდარ ალთუხაშვილი, თინათინ სორსოშვილი, თინათინ კალანდარიანი.

ვიტალი ხაზარაძე, დემურ გადელია, ელიზბარ ლომინაძე, ვახტანგ კვიციანი, ჯამბულ ნუღაია, პეტრე ბერაია, თინათინ კალანდარიანი, ჯემალ უგულავა, გიგუ მუშუკუაძე იუნყებთან

ნუგზარ (სუბა) მამალაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.

გურამ გოგიაშვილი, ალექო ასლანიშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულაძე, გივი ჯახუა და, საერთოდ, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთელი რედაქცია იუნყებთან შესანიშნავი მოქალაქისა და მამულიშვილის

სუბა მამალაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

„გამარჯვების მემკვიდრეთა“ საერთაშორისო კავშირთან არსებული „უხუცეს ვეტერანთა საბჭოს“ წევრები გურამ გვეტაძე, გიორგი ხაზარაძე, რეზო ნაცარიშვილი, ტიტე ლეფსიაძე, კოტე მარშაია, ოთარ ვახანი, მიხეილ ჯალაღონია, ჟორა მოსიძე, ალექო ანაბაძე, ნოდარ ემუხვარი, ლუარსაბ გაბუნია, ბიჭორ ზარქუა მწუნარებით იუნყებთან საბჭოს საპატიო თავმჯდომარის, დიდი სამამულო ომის მონაწილის, ვახტანგ გორგასლისა და ღმერთის ორდენების მფლობელის, პოლკოვნიკ



მამიანი ჟორჯია

გარდაცვალებას და თანაგრძნობენ ოჯახს.

დააკავეს ყალბი ფულის გამსაღებლები



საპარტეზლოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა გატარებული ოპერატიული სამუშაოების შედეგად დიდი ოდენობით ყალბი ფულის გასაღების ფაქტზე საქართველოს მოქალაქე ამალია სულემიანოვა დააკავეს.

გამოძიების ინფორმაციით ბრალდებულმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ფიზიკურ პირებზე გაასალა ყალბი ასდოლარიანი კუპონურები. საგამოძიებო სამსახურის მიერ დაკავებული პირადი ჩხრეკისას ამოღებულია დიდი ოდენობით გაყალბებული ამერიკული ვალუტა.

იარაღი და სპორტო მასალა ნებაყოფლობით ჩააბარეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის წალკის რაიონულ სამმართველოში ორმა მოქალაქემ ცეცხლსასროლი იარაღი და სპორტო მასალა ნებაყოფლობით ჩააბარა.

სულ ჩაბარებულია მაკაროვის სისტემის პისტოლეტი, გადაჭრილი სანადირო თოფი, ე.წ. აბრევი, ტყვიამფრქვევის 3 ვაზნა და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი 15 ვაზნა, აცნობეს მედიანიუსს შსს-დან.



სსონარების ერთგულ თანამგზავრთან მარინა სხველიაშვილთან ერთად

სის ძველ უბანში, ხატავს მამისგან ნაჩუქარ სახელოსნოში, ხატავს რუსეთში, ამერიკაში, ხელოვანთა მექა-პარიზში, ხატავს თავისი სულის ამოძახილს და გაოგნებული არიან ქართველი მხატვრის შემოქმედებით მსოფლიო ხელოვნების მეტრები თუ ხელოვნებათმცოდნე კრიტიკოსები, რომელთაც ყალბად თავს ვერ მოაწონებ.

„ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ“ – დევიზად გაიხადა მაგთიკომმა და დღემდის ორ ათეულამდე მაღალპროფესიულ დონეზე შექმნილი ალბომი აჩუქა ქართველ ხელოვნებათმცოდნეებს, ნანატრი აუსრულა ქართველ მხატვრებს, მოქანდაკეებსა და არქიტექტორებს, რომელთაც მსოფლიო აფასებს, მხოლოდ საკუთარ სამშობლოში არიან, თითქოსდა გარიყულები.

„ამ საქმეს გაა ჯობობენ კი არა სახელმწიფო უნდა აკეთებდეს“ – აღნიშნეს „კუხალას“ ალბომის წარდგინებაზე მაგთიკომის კლუბში. ვინ ბრძანა აღარ მასხვს, ბატონი თემო გოცაძე იყო

ხელოვნებაზე და არეული, დაძაბული და ომის ქარცეცხლში გახვეულ მსოფლიო პრობლემებს ერთი საათით აარიდონ თავი, ვინ ბრძანებდა ამ ჭეშმარიტებას. ბრძანებდა ჯემალ კუხალაშვილის შემოქმედების დამფასებელი, ყველა ის ვინც იმ საღამოს ტკბებოდა ხელოვნებისა და პოეზიის ზემოთ. ცნობილი რეჟისორები, მხატვრები, მოქანდაკეები, კომპოზიტორები, მწერლები და ჟურნალისტები, „კუხალას“ მასწავლებლები, გზის გამკვალავნი, სიყრმის მეგობრები და ოჯახის წევრები – ერთნაირი სიხარულით იყვნენ აღვსილნი.

„რა აზრის ბრძანებით, ბატონო კახი დღევანდელ საღამოში“ – დაიქლოფონომოდარჯებული მიქტრა კახი კავსაძეს ახალგაზრდა ჟურნალისტი გოგონა. „რა აზრის უნდა ვიყო შეილო, ჯერ დარბაზში არ შევსულვარ, რომ გამოვალ, მერე მკითხო“ – გაოცდა დიდი მსახიობი. აი, ორი საათის შემდეგ, როდესაც მაგთიკლუბიდან გამოვედით კმაყოფილები, დიდი ხელოვანის შემოქმედებით მონუსხულები, შესანიშნავი ალბომით დასაწყობებული, ამ კითხვაზე ყველა იქ შეკრებილი ერთნაირ პასუხს გასცემდა – ეს იყო ფანტასტიკა...

ეს იყო დღესასწაული „სულის სარკმლიდან გადმოხტარი კაცისა“.

ეს სიტყვები მხატვრის მეუღლეს უნიჭიერეს პოეტს, ქალბატონ მარინა ცხვედიაშვილს ეკუთვნის. ვინ, თუ არა მხატვრის ცხოვრების უღალატო თანამგზავრმა და თავად ხელოვნების ტრფიალმა იცის მეუღლის სული და ცხოვრებისეული ფილოსოფია, მოღბერტთან გათენებული ღამეები, მუზასთან ჭიდილი, გამარჯვება მიღწეულით გამოწვეული სიხარული.

ბატონი ჯემალი და ქალბატონი მარინეს სუთი ვაჟკაციდან ოთხი პროფესიონალი მხატვარია. თავად განსაჯეთ დიდი ოჯახის დიასახლისის რამდენ მუზასთან უწევს მაკინძლობის განევა და საკადრისად დახვედრა.

დარბაზში შეკრებილებმა კიდევ ერთხელ აღნიშნეს მაგთიკომისა და მათი თავკაცის დაუღალავი შრომა და ყუ-



სსონილი მხატვრები სიხარულს ვერ მალავენ მეგობრის წარმატებით

მაგთიკომი
ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ

რადღებდა ხელოვნების მსახურთა მიმართ – მაგთიკომი ხომ მართლაც ქართულ, მამულიშვილურ საქმეს აკეთებს ქართული კულტურისა და ხელოვნების მხარდაჭერი პროექტებით.

დაბოლოს კვლავ „კუხალას“ „ბნელეთის ცისკარს“ დავესესხები:

„ველასკესი ამბობს: პალიტრა სანდო არ არის, პალიტრიდან სურათამდე მანძილია – ლალატის მანძილი, და სანამ პეტრეს მამალი დაიყვილებს, მანამ არ უნდა დაიკარგოს დრო. მამალი კი უსათუოდ იყვილებს. თუ ამ წიგნმა შეაღებდა და აღაფრთოვანა ერთი კაცი მაინც, მაღლობელი დავრჩები და ესოდენ ჩემგან დაღვრილი სისხლი მართებულ იქნება“.

პეტრეს მამალი უსათუოდ იყვილებს, ბატონო ჯემალ, მაგრამ თქვენ თქვენი ცხოვრების წესითა და მრწამსით, თქვენი ლამაზი შემოქმედებითა და ოჯახის ერთგულებით, სამშობლოს სიყვარულით დრო უქმად არ დაგიკარგავთ, რადგან უამრავ ადამიანს აჩუქეთ სიხარული. რამდენიც არ უნდა იყილოს პეტრეს მამალმა, თქვენ არასოდეს უარყოფთ იმას, რაც გნამთ.

მამუკა ვაშაძე

გვეხება პანორამა

არ ვითანხები კუბიკასიის ყალბ პატოსს!

გაართიანებულ საქართველოში შრომა და საყოველთაო კითხვადღეობა არის ქართველი ერის ნატვრა!

ეს ქართველი ხალხის ოცნებაა!



დენიზა სუმბაძემ დამამიდა „რუსთაველის მაგ თბილისური ძეგლის ორეულის დადგმა იერსალიმშიც რომ დავაპიროთ, მაშინ ნამდვილად ეშველება საქმესო. ბარემ შენ დანერე ეგ-მეთქი და რამდენიმე თვის შემდეგ(?)! მან გამოაქვეყნა წერილი, სადაც მისი საყვარელი სიტყვით რომ ვთქვათ, დიდი „წილისვლებით“ ყველაფერზე მსჯელობს, გარდა რუსთაველის ახალი ძეგლის თბილისში დადგმაზე, წერილს რამდენიმე მეცნიერის სახელი და გვარი ახლავს მხარდამჭერად, მათ შორის ჩემიც. ამის გამო ვაცხადებ, რადგან ავტორმა სიტყვა გატეხა, უღალატა თავის ნათქვამს და სულ სხვა ჩანაფიქრი (თუმცა საყურადღებო) გამოაქვეყნა, ამიტომ მე ველარ ვიქნები გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (11.06.2016) წერილის „ეს ქართველი ხალხის ოცნებაა!“ მხარდამჭერი და კატეგორიულად არ ვეთანხმები პუბლიკაციის ყალბ პატოსს!

რუსთაველის საიუბილეო წელიწადს თბილისში, ვაკის პარკის მთავარი შესასვლელიდან გმირთა მომორიალამდე გადაშლილ ხეივანში მოხდება ერმა უდიდეს შვილს საკადრისი ძეგლი რომ აუგოს და გენიოსთა გენიოსის ძეგლთან „ვეფხისტყაოსნის“ უცხო ენებზე მთარგმნელთა ბიუსტები რომ ჩაამსკრივოს, ამ საშვილიშვილო საქმის თავის მოხმას ვთხოვ, ვებვნებო, ვემუდარები ქვეყანას მაგრამ... მართო ერთმა მეგობარმა, პროფესორმა

დენიზა სუმბაძემ დამამიდა „რუსთაველის მაგ თბილისური ძეგლის ორეულის დადგმა იერსალიმშიც რომ დავაპიროთ, მაშინ ნამდვილად ეშველება საქმესო. ბარემ შენ დანერე ეგ-მეთქი და რამდენიმე თვის შემდეგ(?)! მან გამოაქვეყნა წერილი, სადაც მისი საყვარელი სიტყვით რომ ვთქვათ, დიდი „წილისვლებით“ ყველაფერზე მსჯელობს, გარდა რუსთაველის ახალი ძეგლის თბილისში დადგმაზე, წერილს რამდენიმე მეცნიერის სახელი და გვარი ახლავს მხარდამჭერად, მათ შორის ჩემიც. ამის გამო ვაცხადებ, რადგან ავტორმა სიტყვა გატეხა, უღალატა თავის ნათქვამს და სულ სხვა ჩანაფიქრი (თუმცა საყურადღებო) გამოაქვეყნა, ამიტომ მე ველარ ვიქნები გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (11.06.2016) წერილის „ეს ქართველი ხალხის ოცნებაა!“ მხარდამჭერი და კატეგორიულად არ ვეთანხმები პუბლიკაციის ყალბ პატოსს!

დიდი პატივისცემით ზურაბ რატიანი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

უმოკლესი გზა სხვარიჭაშიისკენ

მცხეთის მუნიციპალიტეტში, წინამური-საგურამო-ცხვარიჭაშიის საავტომობილო გზის 6.4 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია დასასრულს უახლოვდება. წინამური-საგურამო-ცხვარიჭაშიის საავტომობილო გზა, გზის გასწვრივ მდებარე სოფლებს მუნიციპალურ ცენტრთან, ცენტრალურ მაგისტრალთან და ქალაქ თბილისთან უმოკლესი მანძილით აკავშირებს. პროექტის ფარგლებში გაუმჯობესდა გზის ტექნიკური პარამეტრები, რეაბილიტაცია ჩაუტარდა ხელოვნურ ნაგებობებს, გზა აღიჭურვა უსაფრთხოებისათვის

აუცილებელი ელემენტებით (საგზაო ნიშნები და ა.შ.), ეს კი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მიმდებარე სოფლების ეკონომიკური, სოციალური და ტურისტული პოტენციალის განვითარებას. ამ დროისთვის, სარეაბილიტაციო მონაკვეთზე გზის გვერდულ ელემენტების მონაწილეობის საშუალებები მიმდინარეობს. სარეაბილიტაციო მონაკვეთი სოფელ ნავდარაანთან იწყება და სოფელ ბურიანთან მთავრდება. პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 2 934 300 ლარია.



ახალი სკვრი რუკით

რუკით რაიონში, გორკის ქუჩა №28-ში ახალი სკვერის მშენებლობა მიმდინარეობს. ჩუღურეთის რაიონის გამგებელმა ზურაბ ჩიკვილაძემ მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერა და იქ მცხოვრებ მოსახლეობას შეხვდა. ჩუღურეთის რაიონის გამგებლის თქმით, ტერიტორიაზე, სადაც წლებების განმავლობაში ნაგავი უნებართვოდ იყრებოდა, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სკვერის მოწყობა დაპირებისამებრ ხორციელდება და მიმდინარე სამუშაოები უახლოეს მომავალში დასრულდება. სკვერის ტერიტორიაზე მიმდინარეობს ბორდიურებისა და დეკორატიული ფილების მონტაჟი, რის შემდეგაც დაიდგება სკამები და ინვენტარი. სკვერი ლითონის დეკორატიული ლობით შემოიღობება. პატარებისთვის კი სათამაშო მოედანი მოეწყობა. ჩუღურეთის რაიონს, მიმდინარე წელს 4 ახალი სკვერი შეემატება.



კიბოს „ასრა“

კანიანად შეჭმული ვაშლები კიბოს ერთგვარი „ასრაა“, ამტკიცებენ ამერიკელი ექიმები.

ვაშლის ფერადი კანი – ვიტამინებისა და სხვა სასარგებლო ნივთიერებათა ჭეშმარიტი საგანძურია, რომლებსაც წარმატებით შეუძლიათ, წინ აღუდგნენ კიბოს უჯრედებს. ამ უნიკალურ შენაერთებს ტრიტერპენოიდები ეწოდება. ისინი ხელს უშლიან ლეიძლის, კუჭ-ნაწლავისა და სარძევე ჯირკვლის კიბოს მეტასტაზების წარმოშობას.

სტანდარტების უსაბამისად

დანა-ჩანგლის ხმარების უნარი ადამიანის კულტურული დონის მანიშნებელია. სხვა საქმეა, რომ გასტრონომიული ეტიკეტის თანამედროვე სამყაროში იმდენი სახეობის კერძია, მათ შორის ხშირად ვგზობიკურის, რომ ჭამის წესების ზედმინევენით ცოდნა, ცოტა არ იყოს, რთული რამაა.



თუკი შინ საქმელი ისე შეგიძლიათ მიირთვათ, როგორც მოგესურვებათ, წვეულებაზე, ან რესტორანში საკვების მიერთმევა საგანგებო „ხელსაწყოებითა“ საქირო. საინტერესოა, რა ნიშნით შეიძლება მათი გამოცნობა? საუზმეულის დანა და ჩანგალი, რომლებიც ცივი კერძების, სალათების, ასევე ძხვის, ლორისა და ხაჭაპურის ჭამაში მიღებული, ზომით სუფრიკებზე ოდნავ პატარაა. თევზის ჩანგლით (ოთხი

პატარა კბილიანით და შუაში ჭრილიანით) და დანით (რომელსაც მოკლე ფართე პირი აქვს) მოხერხებულია ძველებისგან რბილი ხორცის გასუფთავება. მაგრამ, თუკი სუფრაზე თევზი მთლიანად, დაუჭრელი მოაქვთ, მაშინ დამატებით დანა-ჩანგალს იყენებენ: მას ფართე, მომრგვალებული პირიანი დანით და მრგვალი ბრტყელი ჩანგლით ჭრიან, რომელიც დიაგნალურად ჩაჭრილ კოვზს ჰგავს.

მსოფლიო ობოები



ოცრად მომხილავ სამოსელს ბად ყიდია.

კუნძულ მადაგასკარზე ადამიანთა სამსახურში მასობრივად ჩაბმულები არიან ობოები.

მათი ერთ-ერთი სახეობის ინდივიდები, ტყეში ტოტებსა და ფოთლებს შორის ქსელების ხანარმოებში მზის სხივებზე უღამაზესად მბრწყინავ ქსოვილს ქსოვენ. ამ ქსოვილიდან ადგილობრივი მკერავები საკერავენ, რომელსაც სუვენირებად ყიდია.

ყაპანის „მენიუ“

მამის უამრავი სახეობა არსებობს, მაგრამ ნებისმიერ ყაპანაში კლიენტს სტანდარტულ ნაკრებს შესთავაზებენ, რომელშიც იქნება: ესპანური – ესაა ძალიან მაგარი შავი ყავა, რომელიც ძალიან პატარა – 50 მილიგრამამდე – ფინჯნებში ასხამენ; კაპუჩინო – რძიანი და ათქვეფილქაფიანი ყავა; ამერიკანო – არცთუ მაგარი შავი ყავა, რომელიც დიდ ფინჯნებში ასხამენ; მოკო – კაპუჩინოს ჰგავს, ოღონდ ყავისა და რძის გარდა მას შოკოლადსაც უმატებენ; გლიასე – ნაყინიანი ყავა. ყავის მოყვარულთა აბსოლუტური უმრავლესობა მას თამბაქოს აყოლებს, რაც კატეგორიულად დაუშვებელია! საქ-



მე ისაა, რომ გულზე ერთდროული მოქმედებისას ყავა და სიგარეტი არათუ ორჯერ, არამედ გაცილებით მეტად უარყოფითად მოქმედებენ. სისხლში კოფეინის გაჩენისას აორტის მოქნილობა იკლებს, იზრდება სისხლის სიბლანტე და ვინროვდება წვრილი სისხლძარღვები, რაც გულზე დატვირთვის ზრდას იწვევს.

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS REPUBLIKA სულხან-საბას ძ. №3 მთავარი რედაქტორი სპარტაკ მოზულია 293-13-34 599 36-00-35 პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიანიშვილი 599 53-76-16; ალექო ასლანიშვილი 599 56-81-86; რუსლან რუსია 599 17-21-21; პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24 გამომცემელი: შპს „თანადგომა“-1 გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79 შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“ რკინიგზის ჩიხი №20 uac(უაკ)070.4(479.22) ს-323 ISSN 2233-3851 9 772233 385001 ავტორთა საჭურადადლო! რედაქციის მიერ შეუკვეთილი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ უნი გაზეთი, აუსილებლად წაიკითხე!

Table with subscription rates and contact information for Sakrebulo.